# გრიგალი

32/2 №108

თფილისი

პარასკევი, 9 (21) სექტემბერი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 1 ყოველ-დღიური გაზეთი. № 1


მთავრობა აცხადებს, ხაზინა არაფერს ფულს არ ხარჯავს საარჩევნო აგიტაციაშიო.—სედლეცის აკლების დაწვრილებითი ამბები.—კადეტებს უბრალო კრებებსაც უკრძალავენ.—მოსკოვის სტუდენტებს დაუდგენიათ უნივერსიტეტი გადააქციონ საავიტაციო ტრიბუნათ.—პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის სტუდენტებს გადაუწყვეტიათ სწავლა დაიწყონ.—კიევის გუბ. გლეხებმა რევოლიუციონურათ გადაწყვიტეს აგრარული საკითხი.


8 სექტემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„გრიგალი“

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ რედაქციის კანტორაში—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ., სამი თვით 2 მან., ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., საზღვარგარეთ ერთი წლით—10 მ., ნახევარი წლით—6 მ.

ხელის-მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ГРИГАЛИ“.



თავ. ანემპოდისტო იესეს ძე და კნეინა სოფიო ეგარისტის ასული მაჩაბლები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ თორმეტს ამა ენკენისთვეს დღით, სამშაბათს დ. სახჩერეში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათის უდროოთ გარდაცვალებულის ასულის

თინათინა წერეთლის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

კოლა მიხეილის ძე წერეთელი აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 12 ამა ენკენისთვეს, დღით, სამშაბათს დაბა საჩხერეში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მისის ძვირფასი და დაუვიწყარ მეუღლის

თინათინ ანემპოდისტო მაჩაბლის ასულის წერეთლის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე.

ელისაბედ გრიგოლის ასული, ანტონ, თამარა, დიმიტრი და ანნა ჯუმუხაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა ტრაგიკულათ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარ მეუღლისა, მეორე და მესამე საყვარელ მამისა, მეოთხე დაუვიწყარ ძმისა და მეხუთე საყვარელ მაზლისა

გიორგი დავითის ძე ჯუმუხაძისას.

პანაშვიდები დღეს 7 საათზე, გამოასვენებენ შაბათს, 9 სექტემ. დილის ცხრანახევარ საათზე საკუთარ სახლიდან. ფომინის ქუჩა № 12 კოლოუბნის ეკლესიაში. დაკრძალავენ კუკიის სამაფლაოზე.

ალექსი, ივანე ელპიტი თევზაძეები, ტერეზია, მაინჯე, რაფიელ, გრიგოლ და არჩილ რამიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი საყვარელი ცოლისას, მეორე ცოლის დისას, მესამე დისას და დანარჩენი დისას

ბაბულინა თევზაძისას.

ცხედარს დაკრძალავენ ენკენისთვის 10-ს, კვირას, პირველ საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. პარკოვის ქ., საკუთარი სახლი, ნაძალადევი. 2—1.

[illegible]

ამხანაგებო და მოქალაქენო!

**ორბელიანის** შემდეგ „**ირაკლის**“ აბანოს ხაზეინებმაც დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილებანი და ამიტომ **ბოიკოტი** ავხსენით

გრძელდება ბოიკოტი:

**ხუმბათოვების** და **ბეჟუთოვების** აბანოებზე. დანარჩენ აბანოების პატრონებმა მუშების მოთხოვნები დააკმაყოფილეს, ამიტომ მათ აბანოებზე ბოიკოტი ახსნილია.

თფილისის აბანოების აფიცვის ბიურო.

ვერცხლის თეატრი

შაბათს, 9 ენკენისთვეს

სახალხო სცენის მოყვარეთა მიერ წა მოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური პიესა

„ხელოვნება თუ ქალარდა!“

3 მოქმედ. კომ. რუსეთის ცხ. ალ. ბაქრაძისა.

II

„დედის ერთა“

ვოდ. 1 მოქმედ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. აფხაზიშვილი, ქიქოძე, კავთელი, შალამბერიძე, ქართველიშვილი, დანელია და სხვ. ბბ. რომანიშვილი, ჯაბაური, ანაშვილი, კულაშვილი, ბაქრაძე, საყვარელიძე, გელიკურაშვილი, ლანდი, უმრიევი და სხვ.

ბილეთები კაიყიდება თეატრის კასაში. 9 სექ. ნაშუადღევის 4 საათიდან

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუზიკა.

გამგე **ალ. ბაქრაძე.**


## ადმინისტრატორების კულტურული ავლადიდება.

თავის უკანასკნელ „განცხადებებით“ მთავრობამ საშინელი უფლებები მიანიჭა ადგილობრივ მმართველებს—„მთავარსარდლებს, არმიების უფროსებს, სამხედრო ოლქის ჯარის უფროსებს და იმ პირთ, რომლებსაც მათი უფლება აქვთ მინიჭებული“, ესე იგი გენერალ-გუბერნატორებს; ყველა ამათ ეძლევათ ის უფლება, რომელსაც რომაელები უწოდებდენ „Vitae necisque potestas“, (ე. ი. უფლება, რომლის ძალითაც გინდ აცოცხლე, გინდ მოკლავ მცხრებთ); მათ ეძლევათ უფლება თავის სურვილისამებრ სამხედრო-საველე სასამართლოს გაარჩევინოს ყოველი დანაშაული, რომელსაც თვით ეს პირები დამტკიცებულათ სცნობენ. ამნაირათ თვითმპყრობელ მთავრობის უფლება ოფიციალურათ დანაწილდა მრავალ წვრილფეხა „თვითმპყრობელთა“ შორის; ამნაირათ მთელი რუსეთი დაინაწილეს პატარ-პატარა „თვითმპყრობელებმა“, რომლებსაც მათდამი დაქვემდებარებულ სამფლობელოში მოქმედების სრული თავისუფლება ეძლევათ.

რა ნაყოფს მოიტანს მცხოვრებლებისთვის ეს უფლების დაქუცმაცება? რა გავლენას იქონიებს იგი მცხოვრებთა ბედ-იღბალზე? ამის პასუხს გვაძლევენ მრავალი ფაქტები რუსეთის დღევანდელ ცხოვრებაში. ყველაზე თვალსაჩინო, ყველაზე დამახასიათებელ ფაქტებს გვაწვდის ქ. სედლეცში მომხდარი ამბავი. გავიხსენოთ მოკლეთ გაზეთის ცნობები: ქ. სედლეცში ვიღაც კაცებმა პატრულს სროლა აუტეხეს; ამის გამო ჯარმა მთელ ქალაქს ალყა შემოარტყა და გამვლელ-გამომვლელს ხოცვა დაუწყო; ადგილობრივ მცხოვრებლებს, რაბინის წინამძღოლობით, გუბერნატორს სთხოვეს, სროლა შეწყვიტეთო; მან უპასუხა, თუ დილის 5 საათამდის მსროლელი რევოლიუციონერები ხელში არ მეყოლება, ქალაქს ზარბაზნებს დავუშენო; დანიშნული საათის შემდეგ ჯარმა თოთხმეტჯერ დასცალა ზარბაზნები, დაანგრია 3 სახლი, ბევრი დააზიანა; მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 400 აღემატება...

გუბერნატორმა მშვენივრათ იცოდა, რომ ეს 400 კაცი უმეტეს ნაწილათ სრულიად უდანაშაულონი იყვენ; ხომ შესაძლებელია, რომ ის პირები, რომლებმაც პატრულს ესროლეს, სწორეთ არ მოყვენ ამ 400 კაცის რიცხვში? ხომ შესაძლებელია ისიც, რომ ამ უბრალოთ დასჯილ 400 კაცში არც ერთმა არ იცოდა, ვინ ესროლა პატრულს? მაშ რისთვის ჩაიდინა ეს გუბერნატორმა? იმ მოსაზრებით, რომ იქნება ამ დასჯილთა შორის ნამდვილი დამნაშავეც მოყვესო! ეს მოსაზრება სწორ-უპოვარია და მის პატრონს გენიოსის სახელს მოუხვეჭდა, რომ მას თითონ, თავის ჭკუით, გამოეგონოს; მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს ხერხი სხვისი გამოგონილია—იროდი მეფისა: იროდი მეფე იყო, რომ 32,000 ყრმა გაწყვიტა, იქნებ მათში იესო ქრისტეც მოყვესო.

გარდა მაგისა, სედლეცის გუბერნატორი, უეჭველია, იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ ბოროტმოქმედთა მოქმედებაში პასუხის-მგებლები არიან მათნი ნათესავები, მახლობლები და მეზობლები. ჩვენს ადმინისტრატორებში, საზოგადოთ ამ აზრს ძალიან მაგრა ქონია ფესვი გადგმული; თითქმის ყველა დამსჯელ რაზმების მეთაურები მაგ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ. ვის არ ახსოვს, რა კლასიკური განცხადება გამოსცა ამ 4 თვის წინათ ციმბირის სახელოვანმა „დამამშვიდებელმა“ რენენკამფმა? მან განაცხადა, თუ ვინმე ჩემს ამალიდან ერთ კაცს მაინც მოკლავს, მე სამაგიეროთ 15 პატიმარს დავახვრეტინებო.

ამ მოკლე ხანში (6 აგვისტოს) ლიფლიანდიაში ამნაირი ფაქტი მოხდა: ერთ სოფელში ვიღაცამ ურიადნიკი მოკლა; დამსჯელ რაზმის უფროსმა მკვლელი ვერ იპოვა და გამოაცხადა, მკვლელის მაგივრათ სხვები დაისჯებიანო და დაახვრეტინა 3 კაცი; ამავე ადმინისტრატორმა გამოაცხადა, თუ კიდევ მეორე თანამდებობის პირი მოკალით, მას ცხრა მცხოვრებს უკან დავადევნებო; თუ მესამე მოკალით—27 კაცს დავხვრეტო და მაგ პროგრესით ვიძლიო.—ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა, რომელ ქუჩაზედაც მკვლელობა მოხდება, იმ ქუჩის სახლის პატრონებს 3000 მანეთით დავაჯარიმებო.

ასეთივე ამბები ხდებოდა ჩვენშიაც წარსულ იანვარ-თებერვლის შავბნელ დღეებში. მაგნაირივე თეორიის მიმდევარი ყოფილა ადგილობრივი გენ.-გუბ. ტიმოფეევიც. უკანასკნელ განკარგულებაში იგი აცხადებს, ვინც რევოლიუციონერებს თავის სახლში შეიფარებს, ჩემ საგენერალ-გუბერნატოროდან გავაძევებო.

მარტო ადმინისტრატორები არ არიან გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ რევოლიუციონერთა ბოროტ-მოქმედებისთვის პასუხის-მგებელია მისი მოყვასი; ეს იდეა, ეტყობა, ჰაერში ტრიალებს, საზოგადოების ერთ ნაწილსაც კარგათ შეუთვისებია. ამას წინათ გაზეთ „ბაქო“-ში დაიბეჭდა ბაქოს აფიცრების საერთო კრების დადგენილება, რომელშიაც აფიცრები აცხადებენ, თუ ვინმემ ან აფიცერი, ან სალდათი მოკლა და მკვლელი ვერ აღმოვაჩინეთ, მკვლელის მაგივრათ პასუხს აგებენ „აგიტატორი და ხელმძღვანელები რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა“. ამნაირივე დადგენილება მიიღეს სევასტოპოლის აფიცრებმაც: თუ ვინმემ ჩვენი „პოლკის ოჯახის“ რომელიმე წევრის მოკვლა განიზრახა, პასუხს აგებენ არა ნამდვილი ბოროტ-მომქმედნი, არამედ მათი იდეური ხელმძღვანელნი—რევოლიუციონერებიო; 28 რევოლიუციონერის სია კიდეც შედგენილი გვაქვს და მომავალში, იმედია, კიდევ შევავსებთო.

რას ნიშნავს ეს ფაქტები? რით აიხსნება, რომ სულ სხვა და სხვა კუთხის ადმინისტრატორები, სულ სხვა და სხვა კუთხის აფიცრობა ერთ და იმავ აზრს მიადგენ?—ეს აიხსნება ადმინისტრაციის კულტურულ დაქვეითებით. ის აზრი, რომ ბოროტ-მოქმედებისათვის პასუხის-მგებელია არა მარტო ბოროტ-მომქმედი, არამედ მათი მახლობელნიც,—ეს აზრი ძალიან მიღებულია ველურ საზოგადოებებში. განვითარების პირველ-ყოფილ საფეხურზე მოკლულის გვარეულობა სისხლს იღებდა არა მარტო თვით მკვლელისას, არამედ მის საგვარეულოსაც. ყველა ქვეყნის ბარბაროსებს სჩვევიათ ბოროტ-მომქმედის ჯავრის ამოყრა მის ნათესავ-მახლობლებზე. ყველა ცოტა მაინც მოწყობილ სახელმწიფოში ეგ ჩვეულება გადაგდებულია; ყველასათვის ცხადია, რომ ეგ ჩვეულება უსამართლო და უგუნურია. ეს ჭეშმარიტება შეიგნო თვით რუსეთის მთავრობამაც, რომელმაც ამ ბოლო დროს საბოლოოთ მოსპო ყველა კანონები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ თეორიაზე იყვენ აშენებულნი; უკანასკნელი ამ კანონთაგანი—ეგრეთ წოდებული „**круговая порука**“, ე. ი. ურთიერთის პასუხის-მგებლობა—მხოლოდ გლეხებისთვის იყო დაცული და ისიც ვიტემ გააუქმა 1903 წელს.

ყველამ შეიგნო ამ ველურ ჩვეულების უგუნურება, გარდა ჩვენი ადმინისტრატორებისა, რომლებიც ტერორისტების ჯავრს მაინც უდანაშაულო მცხოვრებლებზე ყრილობენ და ამით ჩვენ გვაბრუნებენ ველურ საზოგადოებაში, პირველ-ყოფილ დროის პირობებში, როცა ხალხს წარმოდგენა არ ქონდა, რა არის კანონი, რა არის უფლება. ამნაირ კულტურულ ავლა-დიდების პატრონებს ჩაუგდეს ხელში მთელი რუსეთი...

**ლეო.**

## როგორ მოვიქცეთ სოფელში?

—

ამხ. ჰ—მ „ჩვენი ცხ.“ მე 9 №-ში ძლიერ საინტერესო კითხვას შეეხო, სახელდობრ იმას, თუ როგორი უნდა იყოს დღეს ჩვენი მოქმედება გლეხობაში, თუ რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ სოფელში. მეც ამის შესახებ მსურს ჩემი აზრი გამოვსთქვა.

ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ გლეხობის მოძრაობის ძირითად მიზეზათ უნდა ჩაითვალოს მათი ეკონომიური სილატაკე და პოლიტიკური დამონავება. როცა ასეთი ნიადაგი უკვე მომწიფებულია—მაშინ მის სიღრმეში გადასროლილი აგიტაციური მარცვალი უთუოთ იხარებს, გაიზრდება და სასურველ ნაყოფს გამოიღებს. როცა ასეთი ნიადაგი მზათ იყო ჩვენში, მაშინ რომელ რევოლიუციონურ პარტიასაც უნდა გაეწია პროპაგანდა-აგიტაცია, მიზანს უთუოთ მიაღწევდა: გლეხობა მას აყვებოდა, აღელდებოდა და ამ პარტიის ლოზუნგებს თავის ლოზუნგებათ გაიხდიდა, რადგან მასში დაინახავდა იმ პატრონს და მხსნელს, რომლის საშუალებით შეეძლებოდა მას გზა მოენახა და უნუგეშო მდგომარეობიდან თავი დაეხწია. გზის მჩვენებლის როლის შესრულება ჩვენში, როგორც უფრო გაბედულს და ძლიერ პარტიას—წილათ ხვდა ს.-დ. მუშათა პარტიას.

დაიწყო თუ არა ჩვენმა პარტიამ გურიაში მუშაობა, მან თან აიყოლია მთელი გურიის გლეხობა და რამოდენიმე ხნის განმავლობაში მთელ საქართველოს მოედო აღელვების ალი. რაც დრო გადიოდა, თან-და-თან არეულობა უფრო და უფრო მძლავრათ იჩენდა თავს. ამ გარემოებას ს.-დემოკრატია ბრმათ არ უცქერდა. იმან კარგათ იცოდა, რომ გლეხთა მოძრაობა ს.-დ-ული სრულებით არ იყო, ის ასეთი იყო მხოლოდ ერთის შეხედვით; რომ ეს უპირველეს ყოვლისა დემოკრატიული მოძრაობა იყო, მხოლოდ ს.-დ. დროშის ქვეშ, ს.-დემოკრატიის წინამძღოლობით. დიახ. ს.-დ-მ კარგათ იცოდა, რომ გლეხობა ერთ კლასს არ წარმოადგენს, რომელსაც ყველა ინტერესები საერთო ქონდეს; იმან იცოდა, რომ გლეხობა მრავალ-ფეროვანია და ნამდვილი სოციალდემოკრატობა მხოლოდ ერთ პატარა ნაწილს, პროლეტარულს და ნახევრათ პროლეტარულს შეეძლო.

ყველაფერი ეს აღიარა კავკასიის ს.-დემ. მუშათა ორგანიზაციების პირველმა კონფერენციამ, როგორც ამას ამბობს ამხ. ჰ—ც. მან გლეხების მოძრაობას დემოკრატიული მოძრაობა უწოდა და აგრეთვე საჭიროთ სცნო ნამდვილი ს.-დ. ორგანიზაციების შექმნაც პროლეტარულ ელემენტებისაგან.

მერე მოსახერხებელი იყო პარტიული ორგანიზაციების გამოყოფა ჩვენში? ან საჭირო იყო ეს ჯერჯერობით? მე უნდა ვუპასუხო, რომ არა. კონფერენციის გადაწყვეტილების განხორციელება ჩემი აზრით ნაადრევი და არა სასურველი დარჩა და დღესაც ასევე არის. რატომ?

გურიაში არის ორგვარი ორგანიზაცია: ს.-დემოკრატიული და დემოკრატიული. მერე ვისგან შედგება პარტია? მართლა ნახევრათ პროლეტარებიდან და „ბატრაკებიდან“, როგორც ეს კონფერენციამ გადაწყვიტა? არა. მისი შემადგენელი ელემენტები მრავალ-ფეროვანია: პარტიაში შედიან, როგორც სხვადასხვა მდგომარეობის გლეხები, აგრეთვე ვაჭრებიც, თავადი და აზნაური, ნოქარი, მოჯამაგირე და ინტელიგენტი. მერე და ესენი მართლა სოციალისტები არიან? ეს ვინ იცის! ისინი იმიტომ გახდენ ღირსი პარტიის წევრობისა, რომ რეაქციის ქარიშხალმა ვერ შეაშინა ისინი, და პოლიტიკური ბრძოლის დასრულებას ფიქრობდენ და მომავალიც სწამდათ, ასე რომ ბევრი იმათგან რევოლ. დემოკრატები არიან. აქედან სჩანს, თუ რამდენათ დაწმენდილია პარტია და როგორი შინაარსის ორგანიზაციები ყოფილა გამოყოფილი. *)

რა ნაყოფი გამოიღო ასეთ დროს პარტიულ ორგანიზაციების შექმნამ? ის, რომ არა საკმაოთ შეგნებულმა გლეხობამ ს.-დემოკრატების ასეთ ქცევას ცუდი თვალით შეხედა. მან იფიქრა, რომ ეს ვებერთელა ნაწილი სოციალდემოკრატიამ მოძრაობას ჩამოაშორა და უვარგის ელემენტებათ ჩასთვალა. მოხდა აურზაური, გლეხობა გაიყო ორ არა თანასწორ ნაწილათ და ერთი მეორეს გადაემტერა; ყველა ითხოვს პარტიაში შესვლას და ასეთ ვიწრო ორგანიზაციების დაშლას. ისინი საფუძვლიანათ გაიძახიან, რით მჯობია პეტრე და ივანე, რომ ისინი პარტიის წევრები არიან, ჩვენ კი არაო. როცა იმათ აუხსნეს, რომ პეტრე და ივანე პარტიის პროგრამას იღებენ, დისციპლინას ექვემდებარებიან, ერთი სიტყვით ასრულებენ ყველა იმას, რაც პარტიის წევრობისათვის არის საჭირო, მათ უპასუხეს—ჩვენც შეგვიძლია ასეთი პირობები შევასრულოთო. მე მგონია არავითარი უფლება არა გვაქვს ისინი პარტიაში არ შევიყვანოთ. და ასე რომ გავყვებით, მაშინ პარტიულ ორგანიზაციებში თითქმის მთელი დემოკრატიული გლეხობა მოყვება და ამნაირათ პარტია კარგავს თავის დანიშნულებას, კარგავს თავის ხასიათს. და ეს ასეც უნდა მოხდეს, მეტი გზა არ არის დღეს. თუ სხვანაირათ მოიქცევი, იმ შემთხვევაში ბრძოლა გამწვავდება, რადგან შეუგნებელ გლეხობას გონია, რომ ისინი არა საიმედო პირებათ ჩასთვალეს და ამნაირათ გაპრაზებული არა თუ სხვა პარტიას, და როგორც ამბობს ამხ. ჰ—ფედერალისტებს მიეკედლე-

*) როცა ამას ვამბობ, მე სახეში მაქვს ოზურგეთის რაიონი, მაგრამ შემიძლია ვსთქვა, რომ თითქმის ასევე არის სხვაგანაც.

ბიან, არამედ ერთი ნაწილი კიდეც გახულიგანდება და ზოგი მართლაც უკვე ასეთი შეიქნა *). მე მგონია, ასეთ დროს, როცა პოლიტიკური რევოლიუცია არ დამთავრებულა, არ არის სასურველი, რომ გლეხების უმრავლესობა, ვთქვათ, ფედერალისტებს ჩაუვარდეს ხელში, რადგან ეს არჩევნების დროს ჩვენთვის მავნებელი იქნება და აგრარულ და სხვა საკითხის გადაწყვეტის დროს საქმე ცოტათ თუ ბევრათ დაზიანდება—დაბრკოლდება. ამისთვის ჩემის აზრით დღეს დღეობით პარტიის გამოყოფამ ვნების მეტი არა მოიტანა რა და ამიტომ ვამბობ: კონფერენციის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ეს ნაადრევი დარ ჩა. ეხლა ის და დაგვრჩენია, რომ იქ, სადაც ასეთი შეცთომა არ მომხდარა—ერიდონ მას. გურიაში კი (თუ პროპაგანდა-აგიტაცია არ სჭრის), ვისაც განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფერხება არ სურს, უთუოთ უნდა ეცადოს ორივე გვარის ორგანიზაციები ერთმანეთს დაუახლოვოს ფართო პროპაგნდა აგიტაციის საშუალებით; დეე, დაკარგონ წმინდა პარტიული ხასიათი ჩვენმა ორგანიზაციებმა (ის მას დღეს აღარც აქვს), ეს არ იქნება ჯერ-ჯერობით მავნებელი; დეე, დემოკრატიულ მოძრაობას წინ წაუძღვეს ისევ ს.-დემოკრატია, რომ ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ თავის მიზანს ფართოთ მიაღწიოს! მოვიპოვოთ „მიწა და თავისუფლება", დავამყაროთ დემოკრატიული რესპუბლიკა და შემდეგ პარტია თავისთავათ ჩამოყალიბდება...

ქ. ტონი.

*) არავითარმა პროპაგანდამ ჯერ ვერ დააკმაყოფილა გლეხები და პარტიული და პარტიას გარეშე მყოფი გლეხები ერთმანეთს ვერ შეარიგა; პირიქით ბრძოლა უფრო და უფრო გაამწვავა.

## წერილები გერმანიიდან

დღევანდელი ჩემი საუბარი მკითხველებთან ეხება ისეთ რთულ და დიდ მნიშვნელოვან საგანს, რომ წინდაწინვე უნდა მოვიხადო მასთან ბოდიში, თუ სავსებით ვერ დავახასიათე იგი ერთ მოკლე წერილში. მე ვგულისხმობ გერმანიის მუშათა პროფესიონალურ მოძრაობას. იგი თავის მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ინგლისელების ტრედ-უნიონს, *) და არც დიდი წინასწარმეტყველება იქნება აქვე განვაცხადოთ, რომ უკანასკნელი ადრე თუ გვიან ჩამორჩება პირველს. გერმანიის წარმოება და აღებ-მიცემა ისეთი აჩქარებული ნაბიჯით მიილტვიან წინ, რომ ასეთი მოლოდინი სრულიათ კანონიერია.

*) ამ სახელს უწოდებენ ინგლისში მუშათა პროფესიონალურ კავშირს.

როგორც ყველგან, აქაურ მუშათა პროფესიონალური მოძრაობა გამოიწვია გერმანიის კაპიტალისტურ წარმოების აღორძინებამ, გასულ საუკუნის მესამოცე წლებიდან. მიუხედავათ ამისა, იგი პირველ ხანებში ძლიერ სუსტი და უმნიშვნელო იყო. ამის მიზეზი იყო ორი: სამრეწველო კრიზისები და პოლიტიკური ვითარება. ყველგან ცნობილია, რომ პროფ. მოძრაობა ფეხდაფეხ მისდევს ხოლმე ეკონომიურ ძალთა განვითარებას. ფართოვდება თუ არა წარმოება-აღებ-მიცემა, მატულობს მუშის ხელფასი და აქედან მუშათა პროფ. კავშირები იზრდებიან, დაეცემა თუ არა წარმოება-აღებ-მიცემა. დაიწევს ხელფასი და აქედან კავშირების რიცხვი კლებულობს. ეს ცვლილება გერმანიამ განიცადა არა ერთხელ და ამიტომ გასაკვირველი არაა პროფ. მოძრაობის სვე-ბედის ცვალებადობა

არა ნაკლები გავლენა ქონდა მასზე პოლიტიკურ ვითარებას. გერმანიაში, როგორც ვიცით, 1848 წლის რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა სავსებით. ჯერ კიდევ არ იყო მონარქიული დესპოტიზმი გერმანიის სამთავრო-სამეფოებში საფუძვლიახათ ძლეული, რომ ბურჟუაზიული კლასები და მათი მოლაყბე პროფესორ-ადვოკატები შეურიგდენ წელში მოხრილ ბიურო-კამარილას და უკანასკნელთან ერთათ იწყეს რევოლიუციონურ ხალხის აწიოკება. საქმის ასე დატრიალებას მოყვა ის შედეგი, რომ გერმანიის ოცდაათამდე მეფე-მთავრებმა შეინარჩუნეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი უფლებები და აქედან სახელმწიფოს მართვა-გამგეობამ, როგორც იმპერიაში, აგრეთვე ცალკე სამთავრო-სამეფოებში **) მიიღო ნახევრათ კონსტიტუციონალური, ნახევრათ აბსოლიუტური ხასიათი. თუ ინგლისში გასულ საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკური თავისუფლება (შედარებით, რასაკვირველია) ხელს უწყობდა ტრედ-უნიონის აღმოფრენას, გერმანიაში, წინააღმდეგ ამისა, პოლიტიკურმა ვითომდა-თავისუფლებამ, დააბრკოლა პროფ. კავშირთა ბუნებრივი განვითარება. აქედან გამომდინარეობს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც ინგლისის ტრედ-უნიონის და გერმანიის პროფესიონალთა შორის თავიდანვე არსებობდა: პირველი წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე იბრძოდა და პოლიტიკას გაურბოდა, მეორე იმავე ეკონომიურ ნიადაგზე იდგა, მაგრამ მის მოქმედებას აგრეთვე პოლიტიკური ელფერი ედებოდა.

**) გერმანია ამჟამად შედგება 4 სამეფოსაგან, 18 სამთავროსაგან, 3 თავისუფალ ქალაქისაგან და ელზას-ლოტარინგიასაგან. ყველა ესენი ფედერატიულათ არიან შეკავშირებული და წარმოადგენენ გერმანიის იმპერიას, რომელსაც სათავეში პრუსიის სამეფო გვარეულობა უდგას. ა. ჩ.

ამგვარათ ეკონომიურ ძალთა განვითარებამ, ერთის მხრით, და გაბატონებულ კლასთა მეტისმეტმა უდიერობამ, მეორეს მხრით, გამოიწვიეს გერმანიაში თავდაპირველათვე მუშათა პოლიტიკურ-სოციალისტური და პროფესიონალურ მოძრაობათა ერთი მეორეში გათქვეფა. კრებების და პოლიტიკურ კავშირთა კანონების რეაქციონერობა ნებას არ აძლევდა მუშებს დაეფუძნებიათ მჭიდრო პოლიტიკური პარტია. სამაგიეროთ არც წმინდა პროფ. კავშირების დაარსება შეეძლოთ მათ, რადგან ბურჟუაზიის დამცველი მთავრობა ქორივით დააფრინდებოდა ხოლმე დროგამოშვებით კავშირებს და კაპეიკობით შეგროვილ თანხას ბარბაროსულათ ხელიდან გლეჯდა. ასეთ პირობებში მუშები და მათი მოთავენი ნამდვილ გერმანულ მოთმინებით და დაჟინებით იცავდენ ორივე პოზიციას მტრების წინააღმდეგ. ამ პირობებმა ააცილეს გერმანიის პროფესიონალთ ტრედ-უნიონისტების მავნე უმოქმედობა პოლიტიკაში.

საჭიროა აქვე დავძინოთ, რომ ამ ორ ლტოლვილებათა (ტენდენციებ) შორის პოლიტიკურ სოციალისტური უფრო მძლავრი იყო და სათავეში უდგა პროფესიონალურს. გერმანიის ორი შესანიშნავი, ერთი მეორის მეტოქე სოციალდემოკრატიული ფრაქციები (ლასალიანელები და ეიზენახელები) იყვენ ის ორი მძლავრი მებრძოლნი ხალხის კეთილ-დღებისათვის, რომელთა ფრთას აფარებდენ თავს პროფ. კავშირები. მართალია ორგანიზაციების კარები ღია იყვენ ყველა მუშებისათვის, სულ ერთია, რომელ რწმენის და მიმართულების უნდა ყოფილიყვენ ისინი, მაგრამ ორგანიზაციებში მოთავეობა დამართვა-გამგეობა სოციალისტებს ქონდათ ხელში და აქედან სოციალისტურ იდეებს უპირატესობა ქონდათ მათში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მტრებთან გამწვავებულ ბრძოლის დროს პროფესიონალურ მოძრაობას ყოველთვის ერთს და იგივე მნიშვნელობას როდი აწერდენ სოციალისტები. ისინი არა ერთხელ აღიარებდენ მას ფუჭათ და კონგრესებზედაც კი დაადგენდენ ხოლმე პროფ. ორგანიზაციების გაუქმებას. მიუხედავათ ამისა, ეკონომიური მსწრაფლი ზრდა-განვითარება თავისას მაინც არ იშლიდა და ორგანიზაციები არ იშლებოდენ სოციალისტების ბრძანებით. ბოლოს ორივე ფრაქციის გაპაერთიანებელმა პარტეიტაგმა გოტაში 1875 წ. მიიღო რეზოლიუცია, რომელმაც პროფ. მოძრაობა სასარგებლოთ აღიარა მუშებისათვის.

აქედან დაწყებული გერმანიის გაერთიანებული სოციალდემოკრატია მუდამ მხარს აძლევდა მუშების შეკავშირებას ეკონომიურ ნიადაგზე. იგი მოვალეთ ხდიდა ყოველ სოც.-დემ. თავის პროფესიის ორგანიზაციას მიეკედლოს, და თუ არ არსებობდა იგი, თითონვე დაეარსებინა. „სოციალისტების კანონის" დროს (1878—1890 წ. წ.), როცა გერმანია წარმოადგენდა ერთ უზარმაზარ საომარ ველს, რომელზედაც ბისმარკი და სოციალდემოკრატები გამწარებით ებრძოდენ ერთმანეთს, პროფ. კავშირებმა დაუფასებელი სამსახური გაუწიეს უკანასკნელთ და ბოლოს კიდეც დაამარცხეს მით საერთო ძალით ევროპის ქებული „რკინის კანცლერი". ამ თორმეტი წლის ომმა კიდევ უფრო განამტკიცა პროფ. ორგანიზაციებში პოლიტკურ-სოციალისტური ლტოლვილება. ს. დ. გამგეობა ამბობდა თავის წლიურ ანგარიშში ბერლინის პარტეიტაგზე 1892 წ., „რამდენიმე განკერძოებულ მაგალითის გარდა მთელი პროფ. პრესსა სოციალდემოკრატიულ სულით არის გაჟღენთილიო".

1890 წლიდან, როცა სოციალისტების დევნა ისევ მიყუჩდა და რამდენათმე, პროფ. ორგანიზაციებმა იწყეს ისევ ზრდა-განვითარება. მაგრამ ამავე დროს მოევლინა გერმანიას ხანგრძლივი ეკონომიური კრიზისი და რაც პოლიტიკამ დაატეხა თავზე პროფესიონალებს, ახლა ეკონომიკამ დაუმთავრა. იგინი თუმცა არ შემცირებულან რიცხვით, მაგრამ არც ზრდა ეტყობოდა მათ. ზოგიერთი სოციალისტები-პესიმისტები იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ გერმანიაში პროფ. მოძრაობა ვერ იხეირებსო. კიოლნის პარტეიტაგზე 1893 წ. პროფესიონალთა გამოჩენილი მოთავე ლეგიენი შესჩიოდა ს.-დ. პარტიის დელეგატებს: „თქვენ გულ-აცრუებული ხართ პროფესიონალებზე და მათი სისუსტე ამით აიხსნებაო".

მაგრამ ჩქარა მოეღო ბოლო ამ წუწუნსაც. 1895 წლიდან მუშათა პროფესიონალურ მოძრაობამ ისევ შეისხა ფრთა და მას აქეთ ვიდრე აქამდის მისი წინ-სვლა არ შეჩერებულა. კაპიტალის კონცენტრაციამ და მუშების ერთათ თავის მოყრამ სამრეწველო-სავაჭრო ცენტრებში გამოიწვიეს ცენტრალისტური ლტოლვილებანი როგორც პარტიაში, აგრეთვე პროფესიონალებში. კიდევ ჰალეს პარტეიტგმა 1890 წ. აღიარა პროფესიონალების საუკეთესო ფორმათ „ცენტრალური კავშირები", რომელნიც უნდა შემდგარიყვენ ერთ ან რამდენიმე დარგის ორგანიზაციებისაგან გერმანიის ყოველ კუთხეში. ამ წელსვე დაარსდა ეგრეთ წოდებული „გენერალური კომისია", რომელსაც ირჩევენ პროფესიონალები და რომელიც დღეს „ცენტრალურ კავშირთა" სათავეში დგას.

(დასასრული იქნება.)

## სიდლეცის ამბავი

როგორც „ბირჟ. ვედ."-ის კორესპონდენტი იტყობინება, სიდლეცის ბკლება ამნაირათ მომხდარა: „შაბათს, 26 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ვარშავის ქუჩაზე ორი ახალგაზრდა კაცი მიახლოვებია პატრულს და სალდათებისთვის უკითხავს, რამდენი კაცია ჰაუპტვახტში დაპატიმრებულიო. სალდათებს უპასუხნიათ, წადით, თორემ გესვრითო; უცნობებს ორჯელ დაუხლიათ რევოლვერი, ჩამსხდარან ეტლში და მიმალულან. ერთმა სალდათმა თოფი ესროლა მათ, დანარჩენები დაედევნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს, თუმცა ბევრი სახლი და მაღაზია გაჩხრიკეს. დაიწყო სროლა, სალდათებმა ტყვია დაუშინეს სახლებს. თითქო ქვესკნელიდან ამოვრენ ვიღაც საეჭვო პირები და მაღაზიებს ძარცვა დაიწყეს. თავზარდაცემული მაღაზიის პატრონები სარდაფებში და სახლის ბანებზე დაიმალენ. პირველ საღამოსვე ზარალი 200,000 მანეთამდე იყო, 40 კაცი მოკვდა, 100-ზე მეტი დაიჭრა. მეორე დილის 7 საათზე ციხის ზემოდან გამოჩნდა ცეცხლის ალი; ისევ ატყდა სროლა და არ შეწყდარა მთელ დღეს. ცეცხლი სხვა ადგილებშიაც გაჩნდა; საღამოზე ალაზიების ძარცვამ და თოფის სროლამ იატა. ქალაქში მოვიდა 2 პოლკი და 2 ბატრეია. გუბერნატორთან მივიდა დეპუტაცია რაბინის წინამძღოლობით და შეევედრა, სროლა შესწყვიტეთო. გუბერნატორმა უპასუხა, თუ ებრაელები არ გასცემენ იმ პირთ რომლებმაც სალდათებს ესროლეს, ქალაქს ზარბაზანს დავუშენო. დრო დუნიშნა დილის 5 საათი. ორშაბათს, დილის ხუთნახევარ საათზე ვარშავის და სხვა ქუჩებზე ზარბაზნები გამართეს და 12 ზალპი მისცეს. 3 სახლი ისე განადგურდა, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩა. ამ დღეს კიდევ გადაიწვა სახლები. ამის შემდეგ თითქოს ცოტა მყუდროება დადგა. მცხოვრებლებს ახალი ვადა დაუნიშნეს—სამშაბათი, საღამოს 7 საათი ბოროტ-მოქმედთა გასაცემათ. 28 აგვისტოს ქუჩებიდან 62 გვამი ასწიეს, თითქმის სულ ახალგაზრდა ებრაელებისა. როგორც ოფიციალურ ცნობებიდან ჩანს, თითქმის არც ერთი ქრისტიანი არ არის მკვდარი, ერთი სალდათი მსუბუქათ არის დაჭრილი, მეორე უცაბედათ მოკლა თავისმავე ამხანაგმა. დაჭრილები ეს ორი დღეა უწყლოთ წვანან, მომეტებული ნაწილი კერძო სახლებში მოათავსეს; 100 კაცი საავათმყოფოებში დააწვინეს, სულ ებრაელებია. ქალაქში შიმშილობაა, სამი დღეა, რაც მცხოვრებნი სახლიდან ვერ გამოდიან. საშინელი გაჭირვებაა.

სულ სხვანაირად გვიხატავენ, საქმეს გე-

# ფელეტონი

—:—

ღ ა მ ი თ

ნ. მოროზოვისა.

მყუდროებაა. ვარსკვლავთა ჯარი
დაკაშკაშებენ მოწმენდილ ცასა,
ღამის გუშაგი ეტრფის ხევ-ხუვში
იქ ვეშაპივით ამართულ ქვასა...
ბნელ ბუნაგებში გამოპარულა
ღამის ფრინველი, ქვეწარმავალი...
ირგვლივ სიჩუმე, ირგვლივ დუმილი,
არსით ძახილი, არც გზა სავალი...
ოჰ, რა კარგია, ტკბილი ბუნება!
ყველგან თბილა და მყუდროებაა.
სძინავს მიდამოს, მხოლოდ აი, შორს,
იქ... ქარხანაში ხმაურობაა...
ნაღვლიანი და სევდის სიმღერა
შრომაზე, პურზე, უბედობაზე,
ისმის იქიდან... მღერიან ძმები,
ვის არ უკვდება გული ამ ხმაზე...
ხეივანს იქით, ქარხნის საყვირი
მოსჩანს, მთვარეზე ბრწყინავს ფანჯარა...
ბუნებისაგან დევნულნი შვილნი
კვლავ მუშაობენ, არ სძინავთ... არა!
. . . . . . .
ძმებო, მუშებო! ამ ტურფა ქვეყნათ
არ უნდა იყოს მონა, უფალი...
თქვენ კი სხვის სახლში შექმნილხართ
ძმებო,
მოუწყეველი ქირისუფალი...
ეგ ტურფა ღამე თავისუფლების
და ნეტარების სამეფო არი...
თქვენ კი... მსხვერპლი ხართ შრომის
და ჯაჭვის,
თავისუფლება თქვენთვის არ არი!

იასამანი.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

(ლენინი: „Роспускъ Гос. Думы и задачи пролетаріата").

ლენინის უკანასკნელი ბროშურა ორჭოფ შთაბეჭდილებას ახდენს, ერთი მხრით ავტორი თითქოს ემორჩილება ცხოვრების ხმას, თითქოს ცხოვრების გაკვეთილებს მისთვის უნაყოფოთ არ ჩაუვლია, თითქოს მისთვის „რევოლიუციას უსწავლებია", და რევოლიუციის განვლილ ეტაპებს იგი სისწორით აფასებს; „ცხოვრება ასწავლის", „ცხოვრების ლოღიკა უფრო ძლიერია, ვიდრე კონსტიტუციის სახელმძღვანელოს ლოღიკა", „რევოლიუცია ასწავლის",—აი რანაირ ფრაზებით არის გავსილი ბროშურა. მაგრამ, ვიმეორებთ, ლენინს მხოლოდ განვლილ ეტაპის მნიშვნელობა შეუგნია, მხოლოდ წარსულის დაფასება უსწავლია; რაც შეეხება მომავალს, იგი ისევ წინანდებურ თვალთახედვის წერტილზე დგას, მის მომავლის გათვალისწინება-დაფასებაში—მარქსისტული მსჯელობის „ერთი ატომიც აღარ არის დარჩენილი", როგორც იტყოდა პლეხანოვი; მომავლის გზის ჩვენებაში, ტაქტიკურ კითხვაში იგი ისევ წინანდებურათ წმინდა ბლანკისტურათ მსჯელობს, თითქოს რევოლიუციის გაკვეთილებს მისთვის სულ უქმათ ჩაევლოს, თითქოს რევოლიუციის განვლილ გზას ერთი ბეწვა კვალიც არ დაეტოვებიოს მის გულში.

—

ლენინის ბროშურა რომ წაიკითხოს ფრაქციონულ უთანხმოების უცოდინარმა კაცმა, იფიქრებს, „ბოლშევიკები" ყოფილან, რაც ყოფილანო, მათ საკვირველი შორსმჭვრეტელობა გამოუჩენიათ, საკვირველი ტაქტიკოსები ყოფილან, რაც უწინასწარმეტყველიათ, სრულიად გამართლებულაო. მართლაც და, თუ ლენინს დაუჯეროთ, „რაც „ბოლშევიკებმა" კადეტების შესახებ სწერეს, სუყველაფერი ბრწყინვალეთ გამართლდა"; თურმე „არც ძალიან მტკიცე სოც.-დემოკრატები" (ე. ი. მენშევიკები) ყოველ ნაბიჯზე შეცდომას აკეთებდენ, ყოველ ნაბიჯზე კადეტები მათ ატყუებდენ; არ მოტყუებულან, არ შემცდარან მხოლოდ და მარტო „ძალიან მტკიცე" ბოლშევიკები; ისინი მდგარან წმინდა სოც.-დემოკრატიულ ტაქტიკის გუშაგათ, ისინი მიუძღოდენ წინ პროლეტარიატს და უჩვენებდენ შეურყეველ კლასიურ ბრძოლის გზას. ასეთს შთაბეჭდილებას გამოიტანს გამოუცდელი მკითხველი, თუ ბროშურა ზერელეთ ჩაიკითხა; ხოლო ვინც ბროშურას ყურადღებით წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ არც თუ ისე შეუმცდარები ყოფილან ბოლშევიკები. მართლაც-და რომელი მათი წინასწარმეტყველობა გამართლდა?

ლენინი თავისივე პირით აღიარებს, რომ უწინ მას სულ სხვანაირათ ქონია წარმოდგენილი რევოლიუციის მსვლელობა. იგი იძულებულია გატყდეს, რომ „ცხოვრებას, ე. ი. რევოლიუციას მისკენ (დამფ. კრებისკენ) მივყევართ უფრო გრძელ და მრუდე გზით, ვიდრე ჩვენ ეს შეგვეძლო წარმოგვედგინა" (გვ. 3). მენშევიკებმა ბევრი ლექციები უკითხეს ლენინს და მის ფრაქციას „ხანგრძლივ რევოლიუციის" („длительная рев.") შესახებ; ამ ლექციებისთვის ლენინს ხშირათ მოუნათლია მენშევიკები „კადეტების" სახელით; ახლა, ღვთისა და რევოლიუციის წყალობით, როგორც იყო, მასაც შეუთვისებია ის „კადეტური" ჭეშმარიტება, რომ რევოლიუციის მოხდენა „ზაკაზათ" შეუძლებელია, თუნდა ეს „ზაკაზჩიკი" თვით ლენინი იყოს.

ჩავყვეთ ქვემოთ. როცა ს.-დ. პარტიაში ცხარე კამათი ატყდა იმის შესახებ, უნდა მიიღოს თუ არა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობა, ბოლშევიკები იმ აზრისანი იყვენ, პარტიამ არც თითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა და სხვებსაც უნდა დაუშალოს არჩევნების მოხდენა, და ამნაირათ უნდა გააბათილოს მთავრობის ვერაგული მიზნებიო. მენშევიკები უპასუხებდენ, პროლეტარიატს არ შესწევს ძალა არჩევნების ჩაშლისთვისო, ხალხს უნდა არჩევნებში მონაწილეობა და ჩვენ ნება არა გვაქვს დავუშალოთო.—როგორ არ შეგვწევს ძალაო? ამაყათ გაიძახოდენ ბოლშევიკები: როცა ბურჟუაზია და მთავრობა ქანდრაკის თამაშს დაიწყებენ, პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა თავის ძლიერ მუშტს დაურტყამენ ფიცარზე და თამაშობას შეურევენ. (იხ. „ვპერიოდი" არა ლეგალური გაზეთი. ორიგინალი ხელთ არა გვაქვს, მაგრამ აზრის სწორეთ გადმოცემაში პასუხს ვაგებთ). მას აქეთ გავიდა ერთი წელიწადი და ლენინი თავის პირით აღიარებს, „პროლეტარიატს იმოდენა ძალა არ აღმოაჩნდა, რომ ვიტტეს დუმა ჩამოეგდო". (გვ. 3). Лучше поздно, чѣмъ никогда!

ბოიკოტისტურ ტაქტიკას ლენინი და მისი მიმდევარნი იმით ამართლებდენ, რომ სულერთია დუმა შავრაზმული იქნება, და თუ შიგ მაინცა და მაინც ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც მოხვდენ, ისინი ეცდებიან ხალხი „კონსტიტუციონურ ილიუზიებით" მოატყუონ და თითონ მთავრობას ხალხის ზურგს უკან მოურიგდესო. ამნაირათ, დუმა რეაქციის მსახური იქნებაო. მენშევიკები ეუბნებოდენ; თუმც კადეტები ბუნებით მოღალატენი არიან, მაგრამ დუმა მაინც მათ სურვილის წინააღმდეგ რევოლიუციის ცენტრათ გადიქცევაო. ლენინი ამნაირ აზრებისთვის კადეტებს უწოდებდა მენშევიკებს. ეხლა როგორც იყო თითონაც კადეტი გამხდარა და ამბობს: „კადეტების დუმას თავისი თავი საკონსტიტუციო ორგანოთ მიაჩნდა, ნამდვილათ კი იგი სარევოლიუციო ორგანო იყო". „კადეტების დუმას თავისი თავი სამინისტროსთან საბრძოლველ ორგანოთ მიაჩნდა, ნამდვილათ კი იგი იყო მთელი ძველი მთავრობის ჩამოსაგდები ორგანო". (გვ. 5). როგორც ხედავთ, ლენინი 180 გრადუსზე მობრუნებულა მენშევიკებისაკენ.

წარსულ წელს მენშევიკებმა სხვა ლოზუნგებს შორის წამოაყენეს ლოზუნგი: „რევოლიუციონური თვითმართველობა". ბოლშევიკები ამტკიცებდენ, სანამ ძველი მთავრობა არსებობს, ეს ლოზუნგი მხოლოდ კადეტებისთვის არისო სასარგებლო. როცა მენშევიკებმ ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება იწადინეს, როცა პეტერბურგის მუშები „მუშათა დეპუტატების საბჭოს" დაარსებას შეუდგენ, ბოლშევიკები ესერებთან ერთათ ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ ოგორმე ხელი შეეშალათ ამ „კადეტურ" სურვილის ასრულებისათვის. მას აქეთ გავიდა ერთი წელიწადი და ლენინი ცლახდილათ აღიარებს: „მუშათა დეპუტატების საბჭოებმა და მაგნაირ დაწესებულებებმა ხალხის თვალში მოიხვეჭეს უშველელი და სრულიად დამსახურებული ავტორიტეტი".

ერთი სიტყვით, რომელი მნიშვნელოვანი კითხვაც გნებავთ იღეთ, დარწმუნდებით, რომ, რაც შეეხება წარსულს, ლენინს, როგორც იყო, შეგნია მენშევიკურ აზრების ჭეშმარიტება და ახლა თითონ აღიარებს იმ აზრებს, რომლებსაც უწინ სასტიკი ჯიუტობით უარყოფდა. მადლობა ღმერთსო, იტყვის ფრაქციულ კამათით თავმობეზრებული მკითხველი, ეხლა მაინც თავიდან აგვცილდება ფრაქციათა შორის უთანხმოება, ეხლა მაინც შეთანხმდებიან ფრაქციები და ეხლა მაინც გაერთიანდება სოც.-დ. პარტიაო. მაგრამ ტყუილი იქნება ეს იმედები. ლენინმა მხოლოდ წარსულისთვის ისწავლა ჭკუა. რაც შეეხება მომავალს, იგი წინანდებურ ჰანზე იწყებს სიმღერას.

რევოლიუციის მსვლელობა და დასასრული ლენინს ისევ წინანდებურათ, წმინდა იაკობინურათ აქვს წარმოდგენილი. ვიღაც მეტათ ჭკვიანმა კაცმა უნდა შეიმუშავოს აჯანყების გეგმა. ეს ჭკვიანი კაცი გახლავთ, რასაკვირველია, თითონ ლენინი, რომელსაც უკვე გაუბედნიერებია რევოლიუცია დაწვრილებით გეგმის შემუშავებით. გეგმა ამნაირია: უნდა მომზადდეს რევოლიუციონერთა არმია; ამ არმიას უნდა ხელმძღვანელობდეს „სამხედრო ორგანიზაცია", რომელიც აჯანყების მოთავეთა „კამანდით" უნდა მოქმედებდეს. „სამხედრო ორგანიზაცია" უნდა შესდგებოდეს პატარ-პატარა

ნერ. სკალონი და „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი. მათი აწერილობით, ებრაელ რევოლიუციონერებს სრულიად უმიზეზოთ დაუწყიათ სროლა ჰაუპტვახტზე და ქალაქის გამგეობაში მდგომ სალდათებისთვის. მსროლელები, რასაკვირველია, ებრაელები იყვენ. „აჯანყება, როგორც ჩანს, წინდაწინვე ყოფილა მოწყობილი“. „ყველანი ამტყუნებენ გათავხედებულ ებრაელებს, მხოლოდ ზოგიერთნი ამართლებენ მათ“. თუმც ებრაელები პროვოკატორებს აბრალებენ ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ მაგით თავს ვერ გაიმართლებენო, ამბობს „ნ. ვ.“.

სედლეციდან მოსულები ამბობენ 30 აგვისტომდის 143 კაცია მოკლული; 500 დაჭრილი; ბევრი მკვდარი ნანგრევებში ჩაიხჩო, ხალხი ქალაქიდან მირბის. აკლების შემდეგ სედლეცი ნამდვილ საომარ ბანაკათ გადაუქცევიათ. ვარშავის ქუჩაზე ხორცის დუქნები გამართეს ჯარისათვის, ქუჩებში სალდათები პურს აცხობენ. მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან უპურობის და მეტადრე უწყლობის გამო. რამდენიმე ქრისტიანის მაღაზიის გარდა, ყველა მაღაზიები აკლებულია. სროლა შეწყდა, სულ ყველას ჩხრეკენ, არტილერია ჯერ კიდევ ქუჩებშია. ქალაქში მკვდრული სიჩუმეა. ქუჩებში ვერავის ნახავთ, გარდა სალდათებისა. გადაიწვა ერთ ქუჩაზე 40 სახლი, მეორეზე—85, მესამეზე—სულ ყველა სახლები მეოთხეზე—4.

ბერლინის გაზეთებში დაბეჭდილია საზარელი ამბები სედლეცის შესახებ, ბევრი ებრაელი მხეცურათ უწამებიათ სიკვდილის წინ: სჭრიდენ ყურებს, თითებს, თვალებს ჩიჩქნიდენ, ასახიჩრებდენ... ამ აკლებამ ბელასტოკის აკლებას ბევრათ გადააჭარბა თავის მხეცურ შეუბრალებლობით.

# ახალი ამბები

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ 16 აგვისტოს ბარცხანაში თომა ჩუბინიძეს, ვანო ჩუბინიძეს და ისრაილ ქუმაშურიძეს მოულოდნელათ თავს დასხმია ყვირილის **ბოქაული, „ცნობილი“ მახარაძე.** მახარაძეს თან ხლებია ექვსი დარაჯი და ორი სახელგანთქმული ჯაშუში სოკრატ აბაშიძე და იაკინთე კობახიძე. ჩუბინიძეები და ქუმაშურიძე მაგრათ შეუკრავთ და ყვირილის სტუსაღოში წაუყვანიათ, აქედან ქუთაისში, სადაც მაგრათ დაუჭედიათ ბორკილებით. დაჭერილები დღესაც ციხეში სხედან და არ იციან რა მიზეზით.

◆ 6 სექტემბერს **თფილისის სამოსამართლო პალატაში** დანიშნული იყო განსახილველათ თფილისის რამდენიმე ყოველდღიურ გამოცემათა რედაქტორების საქმე. გაირჩა მხოლოდ ორი საქმე: „Встань спящій“-ს რედაქტორის მღ. იონა ბრიხნიჩევისა და „Гвоздь“-ის რედაქტორის ა. ლანგესი. ორივე მე-129 მუხ. ძალით დამნაშავეთ იცნეს და თითო წლით ციხეში დატყვევება მიუსაჯეს. ბრიხნიჩევი მეტეხის ციხეში გაგზავნეს, ხოლო ლანგე თავ. პ. თუმანიშვილის თავდებობით გაანთავისუფლეს. ლანგეს მაგივრათ 500 მანეთი ნაღდი ფული წარადგინა თავ. პ. თუმანიშვილმა.

◆ ქიათურიდან გვწერენ, რომ იქ შემდგარა **„მეკაჩქეთა“ კავშირი.** კავშირში ჯერ-ჯერობით სამოცი კაცი შედის. კავშირმა თავის კრებაზე გადასწყვიტა მიუმატოს თითო კაჩკაზე მანეთი. ფუთი კაჩკიდან ორ-ორი შაური უსაქმოთ დარჩენილ მუშის სასარგებლოთ გადაიდება. ეს ფულები ებარება ეკატერინა ტყემალაძისას.

◆ ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა **საინტერესო წერილი,** რომელიც ქუთაისში მცხოვრებ დურგალ ანდრია აბესაძეს მიუღია. წერილს შტემპელი აკრავს შემდეგი წარწერით: გ. კ. ა. კ. მოგვყავს უცვლელათ წერილის შინაარსი.

პირველათ მოგილოცავ შენს გარდაცვალებას და მერმე გიამბობ შენს თავზე გარდაცვალების თავ-გადასავალს; შე უბედურო რათ იკლავ თავსა? არა გაქვს თუ? რათ იკლავ თავსა ტყვილა უბრალოთ. „ახ“, შე უბედურო, მაგდენი შეძლება გაქვს უკანასკნელი ხუთასი თუმნის საფასოენო მეტი გექნება. ოცი მანეთი რო ჩვენ გამოგვიგზავნო, არაფერი არ იქნება და შენ ყურსაც კი არ აფაჩუნებ. სულ ოხრათ რო დაგრჩება შენი სახლიც და კარიც, ახ შე უბედურო, რად გინდებიან ან ცოლს და ან ქმარს, თქვენ შვილი არა გყავთ და ძირი, თქვენი სიცოცხლისთვის არ გინდათ ყველაფერი? თქვენ უბედურო. ეხლა უკანასკნელათ გაფრთხილებთ, იცოდეთ თქვენ ჩვენი ბრალი არ იქნეს, რომ განადგურდეს თქვენი ოჯახი, თუ არ გამოგიგზავნია ფული ოცი მანეთი. შენმა ძმისწულმა რო შამოგითვალა თუმანი, იმისი რა ქენი, შენ ხულიგანო შენა! სიკვდილით უნდა დაისაჯოს შენისთანა კაცი.—ფული გამოგზავნე ამ ადრესზე:

Городъ Тифлисъ, Владимирская улица домъ Квелашвили.—Ап. Георгію Квелашвили, передать Амханагу Григорій.

გწერს თბილისის „ამხანაგობა“.

სასაცილოც და თანაც სატირალია, როგორ ხელობათ გადაიქცა „შანტაჟისტობა“.

◆ **გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით** დაიხურა ყოველ-დღიური სომხური გაზეთი „ზანგი“ ქ. თფილისისა და თფილისის მაზრაში სამხედრო წესების მოხსნამდე.

◆ 7 სექტემბრისთვის **საბჭოს დარბაზში** დანიშნული იყო სხდომა ქალაქის გამგეობის წევრთა და იმ კომისიისა, რომელიც ქალაქის წყლის საყვან მილის საქმეს განაგებს. სხდომა სხვა დროისთვის გადაიდო.

◆ გუშინ სინოდალურ კანტორამ ნამესტნიკისაგან მოწერილობა მიიღო, რომლითაც ნამესტნიკი წინადადებას აძლევს კანტორას აცნობონ, თუ სად იმყოფება ამ ჟამათ გელათის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი **არქიმანდრიტი ამროსი.** რომელსაც, როგორც მკითხველებს ეხსომებათ რუსეთის ერთ-ერთ უდაბნოში გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი.

◆ სამშაბათს, 5 სექტემ., აკოფ ჯანიანცის სამკერვალოში **მუშები გაიფიცენ.** ხაზეინს წარუდგინეს ეკონომიური მოთხოვნები. უმთავრესათ მოითხოვენ ნაჭრობით მუშაობის მოსპობას და თვიურათ—შემოღებას.

◆ ამ ბოლო დროს თფილისის მრავალ ვაჭარს ფურცლები მისდით, რომელსაც აკრავს შტემპელი წარწერით: **„თფილისის ფედერაცია ანარქისტ-კომუნისტთა—თავისუფლება“.** ფურცელს თავში აწერია: „სერია № ამდენი, ბ-ნს ამა და ამას. მოვითხოვთ თქვენგან ამდენ და ამდენ მან. (ხან ათასობით), წინააღმდეგ შემთხვევაში ისე მოგექცევით, როგორც თქვენს პარაზიტობას ეკადრება“ და სხვ.

◆ ქუთაისიდან გვწერენ: „3 ენკენისთვეს, როდესაც რიონის სადგურიდან მატარებელი დაიძრა, **კონდუქტორ კოსტა სირაძეს** შეუმჩნევია ვაგონში ერთი საწყალი ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით, მოუთხოვია ბილეთი და რაკი არც ბილეთი, არც ფული არ ქონებია საწყალ ქალს, აუღია და გაქანებულ მატარებლიდან გადაუგდია, ქალი საბედნიეროთ ცოცხალი გადარჩენილა. „აფხანიკო“ მუდამ პირზე აკერიათ ასეთ ვაჟბატონებს და ამისთანა საზიზღარ საქმეს კი ჩადიან.

◆ **ბოიკოტი** ახსნეს მირზოევის აბანოს, რადგან აბანოს მოიჯარადრესა და მუშებს შორის სრული შეთანხმება მოხდა.

## ბ ო ი კ ო ტ ი.

ჩვენ, პარიკმახერთა ქარგლების პროფესიონალური კავშირი **ბოიკოტს ვუცხადებთ მიხაკა დალაქს,** რომლის სადალაქოც იმყოფება, ველიამინოვის ქუჩაზე, რადგანაც მან დაარღვია საერთო დადგენილება და ჯერაც განაგრძობს არა ადამიანურ საქციელს. ბოიკოტი იწყება დღეიდან, სანამ გასწორდებოდეს. მივმართავთ მოქალაქე ამხანაგებს მტკიცეთ დაიცვან ბოიკოტი.

კავშირის ბიურო.

თფილისის წვრილ მოვაჭრეთა ბიურო, **ბოიკოტს უცხადებს** გასწორებამდის, ვაგზლის ქუჩაზე მცხ. სახლის პატრონს **საქულა არუთინოვს,** რომელიც არ უკლებს მანეთზე 30 პროცენტს, დუქნის ქირებზე, თანახმათ მიტინგების დადგენილებისა, და შეურაცყოფს უზრდელი სიტყვებით ყოველ პროგრესიულ პარტიებს და მასთან თუ ვინმემ რამე უთხრა პირადათ მის გარყვნილ საქციელზე, მაშინვე ბიუროკრატიულ მთავრობასთან გარბის. ბიურო მიმართავს საზოგადოებას. ყველამ მხარი დაუჭიროს ბოიკოტს. არავინ მისცეს მას სადამი და არც გადაუხადოს დუქნის ქირები, სანამ არ დააკმაყოფილებს ბიუროს სამართლიან დადგენილებას.

თფილისის წვრილ მოვაჭრეთა „ბიურო“.

## პარტიის ცხოვრებიდან

გამოვიდა მეექვსე წერილი რუს. სოც.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტისა ორგანიზაციათა მიმართ, რომელშიაც საგანგებო სიეზდის მოწვევაზეა ლაპარაკი. ყველა საბუთები, რომელიც სიეზდის მოწვევის დასამტკიცებლათ მოყავთ, ც. კ.-ს უსაფუძვლოთ მიაჩნია, ამიტომ იგი ურჩევს პარტიულ ორგანიზაციებს, სიეზდის მოწყობისთვის ტყუილათ ნუ დახარჯავთ ენერგიას და ფულებს, ის ემჯობინება, რომ მოემზადოთ მომავალ საარჩევნო კამპანიისთვის სახ. დუმაში.

მოხდება თუ არა ახალი პარტიული სიეზდი? ეს კითხვა აღელვებს ამ ჟამათ სოც.-დემ. პარტიას. ამხ. გ. პლეხანოვი დიდი წინააღმდეგია ამ ჟამათ სიეზდის მოხდენისა. მის „დნევ. სოც.-დემ.-ის მე-8 ნომერში დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც ყოველ მხრივ არის გარჩეული ეს საკითხი. პლეხანოვი კიდევ ერთხელ პროტესტს აცხადებს ფრაქციულ დავიდარაბის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ესე მალიმალ სიეზდების მართვა მარტო დროს დაკარგვააო; იმ აგიტაციას, რომელიც ამ ჟამათ სწარმოებს სიეზდის მოხდენისთვის, პლეხანოვი ხსნის ზოგიერთ „ბოლშევიკების“ პირად ტალენით და ურჩევს: „ამ ჟამათ საჭიროა არა ისეთი სიეზდები, რომლებზედაც ისევ გაჩაღდება კამათი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეჭიროს სადირიჟორო ჯოხი“, არამედ ისეთი სიეზდი, რომელიც ხელს შეუწყობს მუშათა მოძრაობის გაფართოვებას. ამიტომ „უწინარეს ყოვლისა, ამბობს პლეხანოვი, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ როგორმე მოვაწყოთ მუშათა სიეზდი, რომელიც ძალიან დროზე წამოაყენა პ. ბ. აქსელროდმა. ეს ყველაზე დიდ მნიშვნელოვანი საქმეა, და მის განხორციელებაზე უნდა იზრუნონ შეგნებულმა მუშებმა და იმ ინტელიგენტებმა, რომლებიც მუშების თვალთახედვის წერტილზე დგანან“.

„ბუნდმა“ ამნაირი დადგენილება გამოიტანა სახაზინო და კერძო ქონების ექსპროპრიაციის შესახებ: „იმ მოსაზრებით, რომ ბრესტლიტოვსკის რაიონის ბევრს ალაგებში თავი იჩინა სახაზინო ფულების კონფისკაციამ, რომ ამ კონფისკაციის გახრწნილება შეაქვს მასსაში, რადგან მასში აღვიძებს ერთი მხრით ანარხიულ მიდრეკილებებს, მეორე მხრით—პარტიისადმი გულგრილობას; რომ სადაც ამნაირი ექსპროპრიაციები ხდება, იქ შენიშნულია მუშების დეზორგანიზაცია,— „ბუნდი“ ურჩევს პარტიის წევრებს ყოველ ზომებით იბრძოლოს ამ მოვლენასთან“.

მოსკოვის სოც.-დემ. ორგანიზაციაში შესულ მუშათა რიცხვი, როგორც უკანასკნელ თვლით გამოირკვა, „პროლეტარი“-ს სიტყვით 6,290 არის.

ამ ცოტა ხანში მოხდა ლატიშთა სოც.-დემ. პარტიის სიეზდი, რომელზედაც დამტკიცებულია წესდება რუს. სოც.-დემ. პარტიასთან შეერთებისა. საკითხი პარტიის ტაქტიკის შესახებ გადაიდვა.

კავკავში მოხდა თერგის და დაღესტანის ოლქების სოც.-დემ. ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციაზე გაიხსნა საკითხები შესახებ დღევანდელ მდგომარეობისა სამარ წესების მიუხედავათ კონფერენციამ მშვიდობიანათ ჩაიარა.

## მ უ შ ა თ ა  მ ო რ ი ს.

**სტოლიარების გაფიცვა.** ჩვენ, კარაპეტოვის სტოლიარნის ქარგლები და შეგირდები გავიფიცეთ და წარუდგინეთ ხაზეინს შემდეგი მოთხოვნები: 1) რვა საათის სამუშაო დღე. 2) ქარგლებისთვის ჯამაგირის მომატება დღეში თითო აბაზისა. 3) შეგირდებს პურის ფული დღეში ექვსი შაური, ხოლო ტანისამოსის— თვეში ორი მანეთი. 4) გაფიცვის ფული სრულიად მოგვცეს. 5) გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვილი. 6) თითეულ ქარგალს და შეგირდს ქონდეს სრული სამუშაო იარაღი: ვუცდით რა ამ მოთხოვნილებებს და წინადადებას ვაძლევთ ხაზეინს ჩქარა დაგვაკმაყოფილოს, თუ არ უნდა, რომ გაფიცვა დიდ-ხანს გაგრძელდეს

**მუშა.**

**მეწვრილმანეთა (ტორგოვშჩიკები) ნოქრების მოთხოვნები:** 1) რვა ს. სამუშაო დღე. 2) ჯამაგირების მომატება: ვინც კვირაში 6 მან. იღებს, მოემატოს 20 პროცენტი, ვინც 4—5 მანეთამდე 30 პროცენტი, ვინც 3 მან. იღებს მოემატოს 40 პროც., ხოლო ვისაც 1 მ. 50 კ.—2 მანეთამდე ეძლევა მოემატოს 50 პროც. 3) უფასოთ შეგირდის აყვანა მოისპოს. 4) მოისპოს საქმის კარში გატანა. 5) საბნები და ნალები სადაც უნდა იყოს დაქირავებულმა კაცმა გააკეთოს და არა ხაზეინმა. 6) ერთი საათის დასვენება სადილისთვის. 7) წელიწადში ორი კვირის თავისუფლება ადგილისა და ჯამაგირის შენახვით. 8) მუშების მიერ მუშების დათხოვ-მიღება. 9) კვირა უქმე დღეებში სრული თავისუფლება. 10) მუშაობის მიზეზით ავათ გამხდარი მუშა ხაზეინის ხარჯით უნდა სარგებლობდეს და მორჩენამდე შეენახოს როგორც ადგილი, ისე ჯამაგირიც. 11) სიკვდილის დროს მიეცეს სამარხათ ქარგალს 30 მ. შეგირდს 20 მანეთი. 12. ზრდილობიანი მოპყრობა. 13) გაფიცვის დროს სრული ჯამაგირი და დასჯილიც არავინ იქნას. 14) თუ მუშას ხაზეინთან სამი წელიწადი უმსახურია, დათხოვის დროს მიეცეს სამი თვის ჯამაგირი. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ ვაძლევთ სამი დღის ვადას.

**თფილისის საკანდიტეროებში.** თუმცა დაგვიგვიანდა, მაგრამ ჩვენც გადავწყვიტეთ პროფესიონალური კავშირის დაარსება. რადგანაც დღევანდელ პირობებში ლეგალურ კავშირს არსებობა არ შეუძლია, ჩვენც განვიზრახეთ კავშირი ჯერ-ჯერობით არა ლეგალურათ მოვაწყოთ. უკვე არჩეულია ცხრა კაცისაგან შემდგარი ხელმძღვანელი ბიურო და აგრეთვე კომისია, რომელმაც კავშირის წესდება უნდა შეიმუშაოს. წესდება გაზეთში იქნება გამოცხადებული. სამწუხაროთ ის უნდა ჩაითვალოს, რომ კავშირს განზე უდგება რამოდენიმე მუშა. მოგეხსენებათ თფილისში არსებობს ეგრეთ წოდებული „დაშნაკ-ცუტიუნის“ პარტია, რომელიც რაღაც შეცთომით თავის თავს სოციალისტურს და რევოლიუციონურს უწოდებს. ჩვენ შორისაც ყავს ამ პარტიას ხუთმეტიოდე კაცი და აი ამათ განიზრახეს, რასაკვირველია, პარტიის ხელმძღვანელთა ბრძანებით, ცალკე „დაშნაკცუტიუნური“ კავშირის დაარსება. ჩვენ, დანარჩენ მუშებს ძლიერ გვწყინს სომეხი ამხანაგების ასეთი საქციელი, მაგრამ იმათთან მაინც ვერაფერი გავაწყვეთ.

საჭიროა არჩეული ბიურო ენერგიულათ მოეკიდოს საქმეს, თორემ დრო აღარ ითმენს. ახლო მომავალში მოსალოდნელია გაფიცვა და თუ მზათ და მჭიდროთ შეკავშირებული არ შევხვდით, ჩვენი გამარჯვება საეჭვო დარჩება.

ასალო.

**ევლახის სადგურის მუშები.** ვგონებ არც ერთი სადგურის მუშები არ არიან ისეთ აუტანელ პირობებში, როგორც ევლახის სადგურზე მომუშავენი და ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენი წურბელა არენდატორები არიან. ამათთვის არ არსებობს არც უქმე დღე, არც განსაზღვრული სამუშაო დრო, არც ზრდილობიანი მოპყრობა. მუშებს არა აქვთ ამხანაგების მიღება-დათხოვნის უფლება. ორმოცი კაცის ალაგას 15 მუშა მუშაობს. ყოველივე ზემო აღნიშნულს დაუმატეთ ხელფასის სიმცირე და ის ათასგვარი დაბრკოლება, რომელიც ჯამაგირის მიღების დროს გადახდება, რომ ცოტათ თუ ბევრათ გაითვალისწინოთ ევლახის მუშათა მდგომარეობა.

ავათმყოფობის დროს მუშის დახმარება აქ მოდაშა არ არის. ხშირათ მომხდარა, რომ ავათმყოფი მუშა ისევ მუშების იმედით დარჩენილა და როცა ერთი თვის შემდეგ დაბრუნებულა, ხაზეინს უკანვე გაუსტუმრებია: ახლა საჭირო აღარ ხარო. ხშირათ მოხდება ისიც, რომ დროებით სახლში წასვლის ნებას მოგცემს, ხოლო როცა დანიშნულ ვადაზე დაბრუნდები, აღარ გიღებს და არც თავისუფალი დროის ჯამაგირს გაძლევს.

ძლიერ ეჯავრება ჩვენ ხაზეინებს „ამხანაგის“ დაძახება და საზოგადოთ შეგნებულ მუშებთან თავს ცოტა უხერხულათ გრძნობენ. როცა ხაზეინები შეგნებულ მუშებს სდევნიან და მათ მაგიერ შეუგნებლებს იღებენ, ირონიულათ იტყვიან ხოლმე: „პარტია გავწმინდეთო“. თუ რომელიმე მუშას გაზეთის კითხვის დროს თვალი შეასწრეს, ვაი მისი ბრალი. ასეთია, დაახლოებით, ევლახის სად. მუშათა მდგომარეობა.

მიუხედავათ ამისა შეგნებული ამხანაგები, ხაზეინების უნებურათ აარსებენ ორგანიზაციებს. როდესაც ჩვენი ხაზეინი შენიშნავს ვინმეს, კრებაზე უთფილაო, დაცინვით ეუბნება: თქვენ გაკეთებულ საქმეს რა უთხრა, თქვენ გინდათ ლუკმა პური დამაკარგოთო!

ასეთია „ლუკმა პურის“ გულისათვის მიმართული მოღვაწეობა ევლახის მუშათა ხაზეინისა.

ერთი მუშა.

# პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ს. სვირი.** 3 სექტემბერს ღამით მთელი სვირის მცხოვრებლები განუწყვეტელმა თოფის გრიალმა გააღვიძა; ხალხი შიშმა შეიპყრო და გარეთ გასვლას ვერავინ ბედავდა. როგორც მეორე დილას გამოირკვა, თოფებს ბოქაული მახარაძე და მისი ამალა ისროდა. ცნობილი მახარაძე ეს მეორეჯერ ესტუმრა სვირს: პირველათ (სააღდგომოთ) მან ამ სოფლის მცხოვრებლები დაატუსაღ-დაამათრახა, ახლა კი ამ ურწმუნო ცხოველმა მთლათ ამოხოცა მიხეილა მალაღურაძის ოჯახობა. ეს საზიზღარი ქლეტა ასე მოხდა: ვიღაცას ბოქ. მახარაძისათვის შეუტყობინებია, რომ აფრასიონ მერკვილაძე თავისი რაზმით ს. სვირში იმალებაო. ამ ტუტუც ადამიანს მახარაძე ამალითურთ კიდევაც წამოუყვანია სვირში და შუაღამისას მიუყენებია მალღურაძისათვის. სოფელში ყველას ეძინა, სტრაჟნიკები სახლს ირგვლივ შემოერტყენ. მახარაძე და „ნაჩალნიკი“ (არ ვიცი ვის ეძახიან სოფლელები ნაჩალნიკს; ბევრი მათგანი კი ირწმუნება, რომ მკვლელობის დროს შორაპნის მაზრის უფროსიც იყოვო. სვირი ეკუთვნის ქუთაისის მაზრას) კი შეშის საყენს ამოეფარებიან. გამოითხოვეს გარეთ მასპინძელი მოსულებმა თუ არა, ეს ჯერ გამოურკვეველია. როგორც უმეტესობა ამბობს, მახარაძეს კიდეც გამოუთხოვია მასპინძლები და ამ დროს სროლა ამტეხარა, თავ-ზარ დაცემული ნამძინარევი ხალხი ზეზე წამოცვივდა. მიხეილას ქალიშვილი და ამის ბაბუა კარში გავარდნილან, მაგრამ ბერდანის ტყვიას ორივე იქვე დაუწვენია. საბრალო ქალიშვილი ელიბა სოფრათსა დასახიჩრებული. ტყვიას მისთვის თავის ქალა წაუგლეჯია და შეფეთქებული ტვინით ჭერი, კედლები და იატაკი მორწყულია სისხლით. ბაბუა და შვილიშვილი ერთმანეთს ჩახუტებიან! ამავ დროს მოჰკლეს მიხეილის ცოლი და მძიმეთ დასჭრეს მისი შვილი იოველი. მალაღურაძესთან მართლაც ყოფილა ერთი რაზმელი, ხიდრელი ბეჟიძე, (რამდენათ მართალია ეს ვგარი არ ვიცი—ამ-

„იაჩეიკებიდან“, ათეულებიდან, ხუთეულებიდან, ზოგან სამეულებიდან. „უნდა ვიქადაგოთ, რომ ყოველი (კურსივი ავტორისაა) პატიოსანი მოქალაქე მოვალეა თავი დასდოს და იბრძოლოს ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ“. ყველა ეს კავშირები „უნდა დაარსდეს ფართოთ და უთუოთ იარაღის მიღებამდის“. რომ ეს ქადაგება გასჭრის და „ყოველი“ პატიოსანი მოქალაქე ლენინის სიტყვებს დაიჯერებს, ამაში ეჭვი არ უნდა გვქონდეს; ამიტომ საჭიროა განვაგრძოთ გეგმის შემუშავება; უნდა ჩვენ არმიის ყოველ ნაწილს თავისი საქმე მივუჩინოთ: „სროლის მცოდნე დრუჟინები გოროდოვოებს იარაღს აჰყრიან, უეცრათ თავს დაესხმიან პატრულს, იარაღს სადმე იშოვიან. სროლის უცოდინარი დრუჟინები, ან ისინი, ვინც იარაღი ვერ შეიძინა, ბარიკადების აშენებას უშველიან, დასაზვერათ ივლიან, ნაწილების მოქმედებას ერთმანეთს შეუთანხმებენ, მტერს ჩაუსაფრდებიან, ცეცხლს წაუკიდებენ იმ სახლს, სადაც მტერი იმყოფება, დაიჭერენ იმ სახლებს, რომლებიც აჯანყებულთ ბაზათ გამოადგებათ“... და სხ. (გვ. 13). ერთი სიტყვით, ყველას თავისი საქმე ექნება. „ყველაფერი ეს სრულიადაც არ არის უტოპიური“, გვეფიცება გეგმის ავტორი: „ჩვენ მოვახერხებთ, რომ ყოველ დიდ ქალაქში ასობით დრუჟინის წევრები კი არა გვყავდეს, როგორც დეკემბერში მოსკოვში, არამედ ათასობით“.

ლენინს დროც აქვს დანიშნული აჯანყებისთვის; „ჩვენი რჩევაა სრულიათ რუსეთის გალაშქრება, გაფიცვა და აჯანყება დაინიშნოს ზაფხულის ბოლოში, ან შემოდგომის დასაწყისში, აგვისტოს შუაში ან ბოლოში. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ სახლების აშენების პერიოდით ქალაქებში და საზაფხულო სამუშაოების გათავებით სოფლებში“. (გვ. 15).

ასე და ამგვარათ. მთელი ხალხის დრუჟინების შედგენის „პრიკაზი“ მიცემულია, ყველას თავისი საქმე აქვს მიჩენილი, რომლებიც დაწვრილებით განაწილებულია, დრო დანიშნულია. დანიშნულ დღეს თვის რევოლიუციურ არმიის ყველა ნაწილები უნდა მზათ იყვენ და სულ განაბული ელოდებოდენ, სანამ მთელ რუსეთში გაისმება მჭექარე „კამანდა“: „Шагомъ маршъ“! ამ „კამანდისთან“ ერთათ ხალხი უნდა შეესიოს მტარვალთა ბანაკს და ძირს დასცეს მონობა. როგორც ხედავთ, ყველაფერი ლამაზათ არის მოწყობილი; სურათის შესავსებათ ერთი რამ აკლია: ვინ უნდა იყოს რევოლიუციურ არმიის მხედართ-მთავარი? ლენინის აზრით აჯანყებას უნდა ხელმძღვანელობდეს უთუოთ „დროებითი რევოლიუციური მთავრობა“. ამ მთავრობაში რომ სოც.-დემოკრატებსაც შეეძლებათ მონაწილეობის მიღება, „ეს უკვე დამტკიცებულია“ (გვ. 15), როგორც ბრძანებს თვით ლენინი. მაშასადამე, ლენინის მოხვედრა ამ მთავრობაში უზრუნველყოფილია. და რაკი ლენინმა ასეთი შესანიშნავი სტრატეგიული ნიჭი გამოიჩინა, რაკი ამისთანა გენიოსური აჯანყების გეგმა შეადგინა, მხედართ-მთავრათაც, რაღა თქმა უნდა, თითონვე იქნება დანიშნული!

ბოლშევიკები გაწყრებიან, რომ მათს ლიდერზე ასე უპატივცემულოთ ვლაპარაკობთ, მაგრამ ამხანაგი ბოლშევიკები თვითონაც დამერწმუნებიან, რომ ლენინის უკანასკნელი ბროშურა მხოლოდ სიცილის ღირსია; ამ ბროშურაში ლენინმა „ბუნტარული“ ტაქტიკა ჰერკულესის სვეტებამდის მიიყვანა; ბლანკისტურ თავდაღმართზე შემდგარმა ლენინმა იგორა, იგორა და „ბუნტარიზმის“ უფსკრულში ჩაგორდა; მთელ ბროშურაში მარქსიზმის ნიშანწყალიც არა ჩანს; ამ ბროშურას, რომ ზევიდან ნ. ტკაჩოვის სახელი ეწეროს, უფრო შესაფერი იქნებოდა, ვიდრე „მარქსისტ“ ლენინისა. ამით აიხსნება, რომ ბროშურა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ბუნტარიზმის პაროდია იყოს, თითქოს გასაცინებლათ იყოს დაწერილი.

**ლეო.**

ბობენ, თვით მახარაძემ იცნო ისო), მაგრამ მას პატარა რევოლვერის მეტი არაფერი ქონია. სროლის დროს ის ფანჯარიდან გადმოხტარა, მაგრამ მიდარაჯებულ სტრაჟებს 3 ტყვიით გაუგმირავთ იმისი გული. მტარვალებს მისი მოკვლა როდი უკმარებიათ, გაციებული მტრისათვის მათ ჯიბეები გადმოუბრუნებიათ და შემდეგ ამისა საზარლათ დაუმახინჯებიათ განსვენებულის სახე ცემით. აი როგორ იძიებს შურს რეაქცია! რევოლიუციის შურის ძიება უფრო დიდი, მაგრამ პატიოსანი იქნება...

დასელი:

P. S. მეორე დღეს, 4 სექტემბერს ბაღდადიდან 60 ცხენოსანი სტრაჟნიკი (დეკები) ჩამოვიდა და მალაღურაძის სახლის მახლობლათ კანცელარიაში დაბინავდა. მათ მგონი ბაღდადის ბოქაული ახლავს. ამავ დღეს ბოქ. მახარაძემ დაატუსაღა აზნ. გამყრელიძე და ბევრი ცემის შემდეგ ზესტაფონში წაიყვანა. **დ—ლი.**

—

**ს. ძევრი.** ეს ორი კვირაა, რაც ქურდ-ბაცაცობამ აქეთ თავი იჩინა, მაგრამ ყოველგან, მცხოვრებლები ფხიზლათ ხვდებოდენ, იჭერდენ და ხალხის თანადასწრებით ასამართლებდენ. დამნაშავენი პირობას სდებდენ, რომ გასწორდებიან და იქნებიან ხალხის მორჩილნი. ამ თვის ორს დაიჭირეს უფრო მოზრდილი ქურდებიც, რომელთაც კარგა დიდი დანაშაული აღმოაჩნდათ. ხალხმა ისინი თითონ გაასამართლა. მიუსაჯეს თითოს ოც-ოცი თუმანი, მათგან დაჭრილ-გაძარცულის სასარგებლოთ თუ ავათმყოფი სრულიად გაჯანმრთელდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოც თუმანს კიდევ დაუმატებენ ხალხმა ერთხმათ დაადგინა: დააყენონ დარაჯები, არა მარტო თავიანთ კერძო სოფლებში, არამედ ირგვლივ და სადაც მოასწრებენ „რეაქციის ბარტყებს“ ან ცრუ სოციალისტებს, დასჯიან, როგორც ხალხის და თავისუფლების მტრებს. აქეთ დიდათ შეწუხებულნი არიან ცხინვალში მომხდარი მკვლელობით. წყევლა კრულვით იხსენიებენ ამხანაგ მინდიაშვილის ჯალათებს. მიზეზიც ის იყო, რომ აქ დააპატიმრეს ერთი უცხო შეიარაღებული კაცი, რომელსაც ხანჯალზე სისხლი აღმოაჩნდა; უცნობმა თავი იმით იმართლა, რომ ხანჯლით ქათამი დავკალიო. როცა მეკითხენ ვინა ხარო: „ქარელში სტრაჟნიკათ ვარო“. თუმცა არავითარი ფორმა მას არ ქონდა. ხალხმა მაინც კეთილ ინება და იარაღის ჩამორთმევის შემდეგ გაუშვა, რომ დაემტკიცებია თავისი ვინაობა. მან 5 ამ თვეს მართლაც მოიტანა მაზრის უფროსის მოწმობა. სადაც აღნიშნული იყო: „სოფ. ბერულის მცხოვრები ვასილ არბოლაშვილი, მსახურობს გორის მაზრაში სტრაჟნიკათო“. ვინ იცის იქნებ ეს ემაწვილიც მატყუარა ვინმეა, მაგრამ რას იზამ: თუ დაიჭირე ხელათ მაზრის უფროსის ბეჭედს წამოგიჩვენებს და მორჩა! იარაღი წაიღო უნიშნო სტრაჟნიკმა. აქაურებს ახლაც არა სჯერათ, რომ ის უცხო პირი სტრაჟნიკი იყო.

აქ იყო ერთი „გაბოიკოტებული“ მედუქნე, რომელსაც აგმარეს და ახსნეს „ბოიკოტი“. ხალხი ამბობს: „ბევრო სხვისი იმედით ბნელაში ხეტიალი. აწ დროა ჩვენივე ძალით გავფანტოთ წყვდიადი, და მით ბოლო მოუღოთ უსამართლო ბატონობასო.

დ. შ—ლი

—

**სოფ. კვახჭირი** (ქუთაისის მაზრა). აქაური მსხვილი მემამულეები თავისას არ იშლიან. მიუხედავათ იმისა, რომ ახალი მოძრაობის დასაწყისში ისინი შეპირდენ გლეხებს ადგილების შეღავათიან პირობებში მიცემას,—დღეს რეაქციის იმედით გასტეხეს პირი და ისევ ძველებურათ, ბატონყმურათ ექცევიან მათ. ამის მაგალითი იყო ცნობილი ნასწავლი მემამულე პ. წულუკიძე, რომელსაც ახალმა მოძრაობამ ასე თუ ისე ზავი მოსტეხა, მამულების იჯარა დააკლებინა, თუმცა გლეხებისადმი თავადური მოქცევა მის ბუნებას ვერ მოაშლევინეს.

მხოლოდ არ შედრკა და რეაქციამ უფრო გაამხნევა ქუთაისში მცხოვრები და აქ დიდი მამულების მქონი ზაქარია მდებროვი, რომელიც დათანხმდა ქცევა მიწა ან 6 მანეთათ მიეცა გლეხებისათვის, ან მოსავლის ერთ მესამედათ. წელს კი, როცა იგი ზურგს უკან ბნელი ძალების სიმაგრეს ხედავს, გლეხებს ერთი მეორეს ამუშტრებს: გინდათ თუ არა ან თექვსმეტი მან. მომეცით, ან სანახევროთ აიღეთ მიწებიო. ეს თავის ყაიდა რომ გაიტანოს, მოიყვანს ნაცნობ-ნათესავ გლეხებს, ან აქაურებს ან სხვა სოფლებიდან და დააშუშტრებს ადგილობრივ გლეხებთან. აი ეს და ეს კაცი ამდენს (16 მ. ან ნახევარს) იძლევა და თქვენ თუ მაუმატებთ, თქვენ დაგარჩენთ მიწებსო.

მემამულის ამგვარი საქციელით დიდათ შევიწროვებულნი ვართ აქაური გლეხები და ჩვენს მოთმინებას საზღვარი აღარა აქვს. რომ კიდევ უფრო არ გამწვავდეს ერთმანეთში დამოკიდებულება, ვურჩევთ ბ. ზ. მდებროვს თავის გაუმაძღარ მადას საზღვარი დასდოს და გლეხებს მოურიგდეს იმ ფასებში, როგორც დღეს ურიგდებიან სხვა სოფლების მემამულეები, თორემ მოვა დრო ბნელი ძალები გაქრებიან და სინათლეში ხომ ყველას ნასიკეთვარზე ხალხი შესაფერათ გასცემს პასუხს..

გლეხის ნაამბი

# რუსეთის ამბები

**მაზურინის ჩამოხრჩობა.** ახლათ დაარსებულმა სამხედრო-საველე სასამართლომ, სხვათა შორის, იმსხვერპლა ერთი შესანიშნავი რევოლიუციონერი ვლადიმირ მაზურინი, რომელიც 31 აგვისტოს ხსენებულმა სასამართლომ სიკვდილით დასაჯა (ჩამოახრჩო). პოლიციაზე შეიარაღებულ თავდასხმისათვის. მაზურინს მთავრობა დიდიხანია ეძებდა, რადგან მას ბრალდებოდა მრავალი მძიმე პოლიტიკური დანაშაული. მას ბრალდებოდა. მაგ., დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყების დროს მოსკოვის ოხრანის უფროსის ვოილოშნიკოვის მოკვლა, მოსკოვის სავაჭრო საურთიერთო კრედიტის ბანკის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება, „ოხრანის“ მოხელეთა დახოცვა და სხ., მაგრამ ვერც ერთი ეს დანაშაული მას ვერ უმტკიცდება. მაზურინი მეტათ მარჯვეთ ახერხებდა თურმე პოლიციელების ხელიდან გასხლეტას და დამალვას; არტისტულათ თურმე ხელათ გამოიცვლიდა ხოლმე ტანისამოსს და სახესაც ისხვაფერებდა. შესახედავათ ის მეტათ ლამაზი და ახოვანი ემაწვილი იყო, ღონეც ჰერკულესური თურმე ქონდა. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტათ ნამყოფი იყო. ჩამოხრჩობის წინ, დილის 3 საათზე, მაზურინთან სანახავათ მიუშვეს მისი დედ-მამა, ძმა და დები. ნახვის ნება მისცეს პირდაპირ, „ურეშოტკოთ“, ნახევარი საათით. ნახვის დროს მაზურინი სრულიად მშვიდათ იყო, ამშვიდებდა და ანუგეშებდა მოხუც დედას—ნუ ტირიო. სამი დღ-ს განმავლობაში მაზურინი იმდენათ გამხდარიყო, რომ კაცი ძლივსღა იცნობდა. ჯალათობა იკისრა „უგოლოვნი“ ტუსაღმა მაზურინმა ზიარებაზე უარი თქვა, მაგრამ მღვდელს თხოვა: „გადაეცი ჩემ დედ-მამას, რომ მე მშვიდობით მოვკვდიო“. სახრჩობელაზე მაზურინმა ჯვარზე მთხვევაც არ მოისურვა და მშვიდათ შეყო თავი ყულფში. მაზურინს იმავე ციხეში, სადაც ის ჩამოახრჩვეს, ძმა ყოლია ტუსაღი (პოლიტიკური), რომელიც აგრეთვე უჩვენეს მას ჩამოხრჩობის წინ. ორი მისი ძმა კიდევ ამ დღეებში დაუჭერიათ.

**საარჩევნო სისტემა.** მთავრობა ამ ჟამათ თურმე სულ უფრო რწმუნდება, რომ საჭიროა საარჩევნო სისტემის შეცვლა და რომ ან საყოველთაო კენჭის ყრა უნდა იქნეს შემოღებული, ან და მაღალ ცენზიანი. უკვე შესდგომიან ახალ საარჩევნო კანონის შემუშავებას და ეს კანონი მალე მზათ იქნება.

**კადეტების სიეზდი,** როგორც ისმის, სტოლკჰოლმში გაიმართება.

**უნივერსიტეტები და სახალხო მიტინგები.** მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს თავიანთ კრებაზე ის აზრი გამოუთქვამთ, რომ სტუდენტთა გაფიცვამ დრო მოჭამა; ახლანდელ პოლიტიკურ პირობებში სტუდენტობა, როგორც ყველაზე უფრო ოპოზიციონური ელემენტი, როცა ის დაქსაქსულია, არ წარმოადგენს მჭიდრო ძალას, ამიტომ უნივერსიტეტების გახსნა უეჭველათ საჭიროა. უნივერსიტეტში მიტინგების გამართვის შესახებ დიდი ხმის უმრავლესობით შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია მიუღიათ: უდროულათ მიგვაჩნია რა უნივერსიტეტში სახალხო მიტინგების გასამართათ მომენტის განსაზღვრა, ჩვენ გვრწამს, რომ სტუდენტობის ტრადიციები აიძულებენ მას დაუთმოს უნივერსიტეტის დარბაზი სახალხო მიტინგებს, როცა ამას პოლიტიკური მომენტი მოითხოვს.

**გლეხები თვითონვე წყვეტენ აგრარულ კითხვას.** კიევის გუბერნიაში ამას წინათ ს. გუშიჩნოში მათ მიტინგი გაუმართავთ და მოულაპარაკებიათ რა თავიანთ მდგომარეობაზე გადაუწყვეტიათ, რომ მინისტრებისაგან არაფერი ხეირი არ გამოვა, დუმამდე ჯერ შორსაა და ისიც ღმერთმა უწყის, იქნება თუ არა დუმაო; ამიტომ ანდაზის თანახმათ—„ღმერთს ევედრე, მაგრამ შენც ხელი გაანძრიეო“, მათ მიუმართნიათ თავიანთ პომეშჩიკ პეკარსკისათვის და მოუთხოვნიათ—სამი დღის განმავლობაში შენი მიწები გაგვინაწილეო, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლ-კარს მთლათ გადაგიბუგავთო, და მუქარა კიდეც მოუყვანიათ სისრულეში. პოლიცია თურმე ვეღარ შველის „პომეშჩიკებს“, ხანდახან თურმე თვით სტრაჟნიკები მეთაურობენ ბუნტოვჩიკ გლეხებს.

### კაზაკებისაგან დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ შეკრებილი ფულები.

აი ფულების შემკრებთა და გადმომცემთა სია: 1) მირიან რუსეიშვილი, ნ. მგალობლიშვილი და კალ. ცაგარლისაგან (სიით № 2) 127 მ. 20 კ.; 2) გ. ზაზიევი, ერ. კუხიანიძე, გ. ცაგარელი, პ. ბიბილეიშვილი და ი. ტურკიასაგან (სიით № 1) 53 მ. 68 კ.; 3) ივანე კაჩუხოვისაგან (სიით № 6) 115 მ.; 4) ვარლამ ბურჯანაძის და ისმ. გოგოლაშვილისაგან (სიით № 12) 23 მ. 20 კ.; 5) მ. რუსეიშვილისაგან (სიით № 14) 54 მ. 60 კ.; 6) ვ. ბურჯანაძისაგან (სიით № 17) 10 მ. 67 კ.; 7) მისგანვე (სიით № 18) 16 მ. 20 კ.; 8) ბიქტორ ახვლედიანისაგან ქუთაისის მოსამსახურე ფარმაცევტებში შეგროვილი 24 მ. 75 კ.; 9) მისგანვე მივიღე მოსამსახურე ფარმაცევტებისა და მეაფთიაქეებში შეგროვილი საბა კლდიაშვილის გვირგვინისათვის, რომლის გაკეთება არ მოესწრო 15 მ.; 10) ვასილ გოგოლაძისაგან—საოლქო სასამართლოს მოხელეთა შორის შეგროვილი 30 მ. 20 კ.; 11) იოსებ პატარიძისაგან—სიმონეთის და ჭოგნარის რაიონებში შეკრებილი 54 მ. 91 კ.; 12) თეოფილე შველიძისაგან—სახაზინო პალატაში შეგროვილი 36 მ. 36 კ.; 13) ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთა შორის შეკრებილი 28 მ.; 14) პიპინია მიქელაძისაგან—სოფ. სალხინოში შეკრებილი 13 მ.; 14) იოსებ პატარიძისაგან—სოფ. ოდილოურში შეგროვილი 6—20; 16) გერასიმე ხაფანიასაგან, ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელთა შორის შეკრებილი 10—75; 17) დ. კიკიანისაგან—სააქციზო სამართველოს მოხელეთა შორის შეკრებილი 22—80; 18) ქ-ნნ მართა და კატო შარაბიძისაგან არქიელის გორაზე შეკრებილი 15—25; 19) ქ-ნნ ლუბა ცახელის და ანეტა ოქროპირიძისაგან შეკრებილი 41—„; 20) მეშა ითვეე პატარიძისაგან—ფირალოვის ფაბრიკაში შეგროვილი 15—20; 21) პ. კილასონიასაგან—კაცია ადანაიას არჯის სწყობის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 3—80; 22) ქუთაისის რკინის გზის ტელეგრაფის მოსამსახურეებისაგან 6—70; 23) დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილისაგან—საკათედრო სობოროს მსახურთა შორის შეგროვილი 29—55; 24) მიხაკო კეზევაძისაგან—სავაჟო გიმნაზიაში შეგროვილი 12—80; 25) ვ. ბურჯანაძისაგან—სიით № 8—ქიმერიდი ანთაძისაგან შეკრებილი 21—80; 26) სტუდენტ გ. უხუთელისაგან—მის მიერ ქუთაისში წაკითხულ რეფერატის შემოსავლის ერთი მეოთხედი 18—„; 27) გ. დგებუაძის და ს. ქებაძისაგან 28—30; 28) კაისარ ჟორდანიას და დათიკო მაჭავარიანისაგან—ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შორის 97—05 კ.; 29) მათგანვე—ქუთაისის მოქალაქეთა შორის შეკრებილი 80—20. სულ ეს ფულები შეადგენს 1012—47, ხოლო დანარჩენი 389 მ. სია „შრომის“ რედაქციას ქონდა გაგზავნილი და. უეჭველია, ეს გაზეთი, განახლების შემდეგ გამოაცხადებს იმ სიებს. რაც შეეხება სულ ჩემ მიერ ოზურგეთის ბიუროსათვის გაგზავნილ 1401 მ. 47 კ., ამ ფულის მიღება უკვე გამოცხადებული ქონდა ამ ბიუროს ერთ წევრს ქ-ნ ნინო ნაკაშიძეს მიღებულათ „შრომის“ № 57.

ის. კვიცარიძე.

—

**შემოწირულება ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა სასარგებლოთ.** გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა სასარგებლოთ მივიღე: 1) ქუთაისის მოხელეთა კავშირისაგან 29—90; 2) ბიქტორ გოცირიძისაგან 3—„; 3) მასწავლებელ ივანე ნიჟარაძისაგან 1—„ 4) ნატალია ქიქოძისაგან 1—50. სულ 35—40.

ზემორე აღნიშნული ფულები სხვასთან ერთათ გადაეცა დანიშნულებისამებრ. **ი. კ.**

## წერილები რედაქციის მიმართ

„ტალღის“ მეხუთე ნომერში იყო ილორელის წერილი, რომელიც გლეხების მონდობილობით, როგორც სწერდა, მიწვევდა სამედიატორო სამართალში გლეხების შევიწროებისათვის.

ორჯელ გაგზავნილი ჩემი პასუხი „ტალღაში“ და „შრომაში“ არ დაბეჭდილა, რადგანაც ისინი დაიხურა. გთხოვთ თქვენს გაზეთში მისცეთ ადგილი ამ ჩემ მოკლე ბარათს.

წერილიდან არ სჩანს ილორელის ვინაობა, არ არის ახსნილი სადაურმა გლეხებმა მისცეს მას რწმუნება; ვის რა წავართვი, ვინ დავჩაგრე. თუ ესენი არ იქნა ახსნილი, ისე სამსაჯულოს ადგილი არ ექნება, მიმიღია ბ-ნი ილორელის წინადადება. მე ვირჩევ მსაჯულებათ გ. ზდანოვიჩს და მ. ქიქოძეს, ხოლო ოთხივე მსაჯულები ამოირჩევენ მეხუთეს. სამსაჯულო უნდა იქნას ქუთაისში, უნდა შედგეს ორ კვირაში დღიდგან ამ ბარათის დაბეჭდვისა. პასუხი უნდა მივიღო ანჯაფარიძის ნოტარიალნი კანტორის საშუალებით.

მ. დარახველიძე.

—

თქვენი პატივცემული გაზეთის ორ ენკენისთვის ნომერში მოხსენებულია, ვითომც მე ვიყო მიზეზი ფოტოგრაფების და მისი თანამშრომლების შეუთანხმებლობისა. ეს მართალი არ არის. მე ყოველთვის მოსარჩლე ვყოფილვარ მუშების სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა. ახლაც რომ ეს დავამტკიცო, მე უარს ვამბობ ჩვენს სხდომებში მონაწილეობის მიღებაზე, დაე, დანარჩენმა ჩემმა ამხანაგებმა და ჩვენმა თანამშრომლებმა შეიმუშაონ ხელ-შეკრულობა, რომელმაც უნდა მოსპოს უთანხმოება. მე კი ჩემის მხრით წინდაწინვე ვაცხადებ საჯაროთ, რომ ამგვარ გარდაწყვეტილებას და ხელშეკრულობას სრულიად დაემორჩილები.

ფოტოგრაფი ვ. განკევიჩი.

—

რადგან რეაქციის მეოხებით ჩემსა და ს. კოხრეიძეს შორის გაუსწორებელი დარჩა იმ ფულის ანგარიში, რომელიც მე გადავეცი მას მუშებისათვის, ამის გამო საჭიროთ მიმაჩნია—ეს საქმე გაირჩ ს სამედიატორო სასამართლოს მიერ. ვიწვევ-რა ს. კოხრეიძეს ასეთ სამართალში, ვთხოვ დანიშნოს დრო და ადგილი, სადაც და როცა სურდეს, თვისი აზრი მაცნობოს კერძო წერილით.

ტრიფონ ჯაფარიძე.

## ღია წერილი

**ღია წერილი თფილისის მკერვალთა პროფესიონალურ კავშირს.** ჩვენ, მედიატორებისაგან შემდგარმა სასამართლომ განვიხილეთ ხელმეორეთ არტემ დანიელოვის და მასთან მომუშავე ქარგალს შორის მომხდარი უთანხმოება, დანიელოვი ვსცანით დამნაშავეთ და აგრეთვე კავშირის გადაწყვეტილებაც კანონიერათ. და ამასთანავე წინადადებას ვაძლევთ დანიელოვს მოიხადოს ბოდიში კავშირის წინაშე და თავის თავი დამნაშავეთ აღიაროს. ამასთანავე ჩვენ, მედიატორები, ვსთხოვთ პროფესიონალურ კავშირს ახსნას მას ბოიკოტი და განაახლოს მასთან ამხანაგური დამოკიდებულება.

მედიატორები: ალისტრო ვადაჭკორია, ი. მაკედონსკი, ს. ტერ-სიმონოვი, ლავრენტი წულაძე, სიმონ ზაქარიაშვილი, გიორგი მიქაძე.

თავმჯდომარე ა. ჩიქოვანი.

—

### ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის მიმართ.

მეორე კვირაა, რაც პროფესიონალურმა კავშირმა ბოიკოტი გამომიცხადა, რადგან მე დავითხოვე მუშა ილიკო შიშნიაშვილი. კავშირის დაკისრების თანახმათ მზათ ვარ დათხოვნილ მუშას სამი თვის ქირა მივცე, უკან მიღება დათხოვნილ მუშისა კი ჩემთვის ძალზე საზარალოა, რაც დამტკიცდება კითხვის გარკვევის დროს. კითხვის საბოლოო გადაწყვეტას ვანდობ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას.

ღვინის მოვაჭრე იოსებ სულხანოვი.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

6 სექტემბერი.

**პერმი.** ხუნგურიდან 20 ვერსტის მანძილზე გაძარცვეს არტელშჩიკი, წაიღეს 10,000 მან. მძარცველები მიმალენ.

**ხარკოვი.** ღამით ქალ. ურალის მახლობლათ აგურის ქარხნის პატრონი ვაცენკო სასიკვდილოთ დასჭრეს.

**მინსკი.** მინსკის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ფულის და სხვა ფასდებულ ნივთების მიღება შეწყდა, ვინაიდან გაძარცვის ეშინიათ.

**მოსკოვი.** კუტაევის სტამბაში, დომოვსკის ქუჩ., 10-დის შეიარაღებულმა კაცმა შეკრა სტამბის პატრონი, ასოთ-ამწყობება და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდების ბეჭდვა დაიწყეს. ბეჭდვა სამ საათს გაგრძელდა, შემდეგ უცნობები მიიმალენ.—მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტების მიღება გათავდა.

**ვასილკოვი.** ხარკის ამკრეფმა ლეონტიევმა პოლიციას განუცხადა, რომ მას მოპარეს 12000 მ. რომელიც ხაზინაში უნდა გაეგზავნა. ეს ფულები აღმოჩნდა ლეონტიევის სახლის თავზე დამალული. ლეონტიევი დაიჭირეს.

**ოპოჩკა.** პსკოვის საგლეხო ბანკმა, გასასყიდათ გამოაცხადა 191 გლეხის მამული. 31 გლეხის საზოგადოების და 37 კერძო გლეხის საკუთრება, რადგანაც ამა წ. გადასახადი ვერ შეიტანეს.

**ვარშავა.** დილით მოკლეს მესამე არტილერიის გვარდიის პოლკოვნიკი ნიკოლაევი.

**ტაშკენტი.** 18 წლის სტუდენტმა ბოდრიცკიმ, რომელიც დიდი ხანი არაა გირაოთი გამოუშვეს ციხიდან, მოკლა სამოსამართლო პალატის პროკურორი შარიგინი. მკვლელი დაიჭირეს.

**ბაქო.** ათი დღის გაფიცვის შემდეგ, როტშილდთან მუშაობა დაიწყეს, ბიბიეიბათში მხოლოდ როტშილდთან არიან მუშები გაფიცულნი, ბალახანაში კი მუშაობენ.

**ხოსნიცა.** მემამულე კვას ბოროტგამზრახველება თავს დაესხენ და მოკლეს. მეორე მემამულემ თავი მოიკვდარუნა და გადარჩა.

**პეტერბურგი.** ოპოზიციური გაზეთები მთავრობას თავს არ ანებებს, რადგანაც ხალხის თავისუფლების პარტიას მთელი იმპერიის სიეზდის და ლეგალურათ მოქმედების ნება არ მოსცა. ამას შესახებ გაზ. „როსია“ მოწინავე წერილში ამბობს, რომ სიეზდი, რომლის მოხდენაც სურთ, ფორმით და მნიშვნელობით სიეზდი კი არაა, არამედ პოლიტიკური მიზნით მიტინგია, რომლის გამართვა შუამდგომლობას არ თხოულობსო. პარტიას ხომ ესმოდა, რომ თუ სამინისტრო სიეზდს ნებას დართავდა, თავის მიზანს ნაკლებათ მიაღწევდა, თუ თავის მოქმედებით არსებულ კანონს დაექვემდებარებოდა, სიეზდი არსებული კანონების პროტესტის გამოსაცხადებლათ მოიგონეს. პარტიას სურდა მთავრობიდან ნებართვა აეღო და ვიბორგის მოწოდების თანახმათ რევოლიუციონური აგიტაცია გაეწია მთავრობამ გულახდილათ განაცხადა და აცხადებს, რომ ის მხედველობაში მიიღებს საზოგადოების თავისუფლათ გამოთქმულ აზრს, მაგრამ არსად და არასოდეს უკანასკნელი რევოლიუციური აგიტაციით ვერ გაიმარჯვებს. ამასთანავე მალვენ, რომ წესდება გუბერნატორს წარუდგინეს და არა უმაღლეს მთავრობას. საგუბერნიო სამმართველომ წესდების დამტკიცებაზე ური უთხრა, რადგანაც კანონებს არ ეთანხმებოდა. იმის დასამტკიცებლათ, რომ საგუბერნიო სამართველო პოლიტიკური მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდა, საკმარისია ის ფაქტი, რო ერთ და იმავე დროს უარი უთხრა ოქტომბრისტებსაც.

**პეტერბურგი.** სამ სექტემბერს ხარკოვის გენერალ-გუბერნატორმა შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშათ შეატყობინა: გუშინ ხარკოვში ხალხის თავისუფლების პარტიის კრება მოხდა. კრებას ნება არ დავრთე, რომ მას აერჩია სიეზდისათვის დელეგატები. კრებას დაესწრო 10 კაცი. რამდენიმე კითხვის გარჩევის შემდეგ დაიწყეს ვიბორგის სიეზდზე მსჯელობა. ჩემ მიერ გაგზავნილმა ჩინოვნიკმა თავმჯდომარის ყურადღება მიაქცია ამ გარემოებაზე, რის შემდეგ თავმჯდომარემ კრება დახურა. ხალხიც დაიშალა.

**პეტერბურგი** (ოფიციალური). ზოგიერთ გაზეთებში ცნობაა მოთავსებული, თითქო შინაგან საქმეთა სამინისტროში გაცხარებული მუშაობაა, რომ გავლენა იქონიონ მომავალ არჩევნებზე და დუმაში მთავრობისთვის გამოსადეგი კაცები გაიყვანონ, ამ საქმეზე მთავრობამ 500,000 მანეთი გადასდოო. ამასთანავე ნათქვამია გაზეთში, რომ ამავე მიზნით კი საარჩევნო საქმეების შესახებ კანცელიარიის მოხელეთა შტატი გაადიდეს. ასეთი ცნობები მხოლოდ „ნედორაზუმენიეს“ ნაყოფია: 500000 მანეთი მართლაც გადასდო ფინანსთა სამინისტრომ, მაგრამ არჩევნების წინასწარ აგიტაციისათვის კი არა, არამედ არჩევნების ხარჯების დასაფარავათ. არჩევნებისთვის ხარჯები კი დიდი იქნება. არავისთვის საიდუმლო არ იყო და არც იქნება, რომ არჩევნების ხარჯებისთვის გადადებულია 500000 მანეთი. კანცელიარიაში მოსამსახურეთა შტატი არა თუ გადიდდა, წინააღმდეგ კიდევაც შემცირებულ იქმნა.

— 5 სექტემბერს ღამით სადგურ საპოჩინოს ახლო დაიმტვრა სახალხო მატარებელი. მატარებელი განგებ დაამტვრიეს ბოროტგამზრახველებმა, რადგან ამ მატარებლით რკინის გზის მეარტელე მიდიოდა და თან 25000 მანეთი მოქონდა. მსუბუქათ დაშავდა 15 მგზავრი. ბოროტგამზრახველები ვერ იპოვნეს.

— სატყეო ინსტიტუტის კანცელარიაში შეცვივდეს 20 შეიარაღებული ბოროტგამზრახველნი, გასტეხეს რკინის ზანდუკი, მაგრამ შიგ ფული ვერ იპოვნეს. მოინდომეს კასის გატეხა, მაგრამ ამაოთ. ვერაფერი ვერ წაიღეს, ისე გაიქცნენ.

— 6 სექტემბერს მოხდა პოლიტეხნიკუმის სტუდენტების კრება. დაესწრო 560 სტუდენტი. გადასწყვიტეს მეცადინეობა დაიწყონ.

რედაქტორ-გამომცემელი **ერ. ჩანტლაძე.**

# განცხადებანი

**ქუთაისში** გამოცდილი მასწავლებელი (14 წლის პრაქტიკის შემდეგ) ვლადიმერ ქრისტეფორეს ძე ნაცვლიშვილი 5 სექტემბრიდან ხსნის კავკასიის ოლქის მზრუნველის ნებართვით კერძო მოსამზადებელ სასწავლებელს, სადაც მიიღებიან ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე, როგორც ვაჟები, ისე ქალები. სასწავლებელი იმყოფება რკინის გზის სადგურის პირდაპირ, ლუარსაბ ბერეჟიანის სახლში. (6—2)

სხვადასხვა ხელსაქმეში დახელოვნებული ვასწავლი

**ჭრა-კერვას,**

სუფთა ხელსაქმეს და წერა-კითხვას, აგრეთვე ვილებ **სითვით** (ГЛАДЬЮ) საქარგავებს. მსურველთ შეუძლიათ მოლაპარაკება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე, პუშკინის ქ., ქეიშვილის სახლები.

(4—2) მ. დ. დუნდუა

ქუთაისში, წითელი ხიდის თავში გაიხსნა საუცხოვოთ მოწყობილი იაფ-ფასიანი **სასადილო**

**„ეკონომია“.**

სასადილოში ყოველდღე მზადდება სუფთათ და წმინდათ სხვა და სხვა საჭმელები. აქვე იყიდება ყველანაირი სასმელები.

პატივისცემით გიორგი ასათიანი და ამხ. (6—2).